# ხალხის მოთხოვნაა, რომ ყველა უკლებლივ განიკითხოს, ვინც ხელს უწყობდა ქვეყანაში განუკითხაობას!..


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2012 წელი.

№199 (7075)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## დასახელდა მინისტრთა ახალი კაბინეტის სრული შემადგენლობა

2




## კახა მიქაია:

ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა ზუგდიდში არიან, სადაც გამალებით მიმდინარეობს ყოფილი ზონდერების შეკრება

2

## ჩინ-მედლები სოფლის მეურნეობის გაჩანაგებისთვის

3

## საქართველოს გიორგი მიქიაშვილისთვის 12 000 ევროს გადახდა დაეკისრა

4

## ნაგავი პოლიტიკური დივიდენდებისთვის

5




## რა ხდება პოლიციაში?



## „მინდა, რომ მაწვიმდეს, მათოვდეს, მზე მაცხუნებდეს“

7

№199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2012 წელი.

# ახალი ხელისუფლება ძალას იკრებს



## დასახელდა მინისტრთა ახალი კაბინეტის სრული შემადგენლობა

**კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ მინისტრთა ახალი კაბინეტის სრული შემადგენლობა დაასახელა. ესენი არიან:**

ფინანსთა მინისტრი – **ნოდარ ხადური;**

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი – **დავით დარახველიძე;**

გარემოს დაცვის მინისტრი – **ხათუნა გოგოლაძე;**

ენერგეტიკის მინისტრი – **კახა კალაძე;**

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრი – **დავით ნარმანია,** რომელიც მომავალში ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე იქნება.

ეკონომიკის მინისტრი – **გიორგი კვირიკაშვილი;** ამასთანავე ამ უწყებას ბუნებრივი რესურსების სექტორი შეუერთდა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – **დავით სერგიენკო.** ამ უწყების მინისტროების კანდიდატმა ამირან გამყრელიძემ კანდიდატურა მოხსნა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტი – **გიორგი მარგველაშვილი.** ამ სამინისტროს ბაზაზე შეიქმნება განათლებისა და მეცნიერების რეფორმების კომისია, რომლის ხელმძღვანელად **გია დვალი** დაინიშნება.

**დანარჩენი მინისტრობის კანდიდატები არიან:**

პრემიერ-მინისტრი – **ბიძინა ივანიშვილი;**

ევროპის და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობის მინისტრი – **ალექსი პეტრიაშვილი;**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი – **გურამ ოდიშარია;**

შინაგან საქმეთა მინისტრი – **ირაკლი ღარიბაშვილი;**

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი – **ლევან ყიფიანი;**

თავდაცვის მინისტრი, ვიცე-პრემიერი – **ირაკლი ალასანია;**

სოფლის მეურნეობის მინისტრი – **დავით კირვალიძე;**

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი – **სოზარ სუბარი;**

იუსტიციის მინისტრი – **თეა წულუკიანი;**

საგარეო საქმეთა მინისტრი – **მაია ფანჯიკიძე;**

სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში – **კოტე სურგულაძე.**

## ინფორმაცია

### ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციაში ინფრასტრუქტურის სამსახური და ბუნებრივი რესურსების მართვა გადავა

**ახალ მთავრობაში ეკონომიკის სამინისტრო ახალ სახეს შეიძენს. როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა მინისტრობის ახალი კანდიდატების წარდგენაზე განაცხადა, ეკონომიკის სამინისტროს ბოლო პერიოდში ფუნქცია ჰქონდა დაკარგული.**

აქედან გამომდინარე, ივანიშვილის განცხადებით, რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები, რომელშიც სხვადასხვა ექსპერტები მონაწილეობდნენ.

ივანიშვილის განმარტებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოეყოფა ინფრასტრუქტურის სამსახური, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს – ბუნებრივი რესურსების მართვა და მათი ფუნქცია ეკონომიკის სამინისტროში გადავა. რაც შეეხება რეგიონული განვითარების სამსახურს, ეს ცალკე სამსახური იქნება და პრემიერ-მინისტრის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადავა.

– ჩვენ ჯერ ცვლილებების გატარება არ შეგვიძლია. ამას სჭირდება პარლამენტი და ასე შემდეგ. პარლამენტს თავისი პროცედურები აქვს, ამიტომ დროებით იქნება რეგიონული განვითარების და ინფრასტუქტურის სამინისტრო და მინისტრად იქნება დავით ნარმანია. როდესაც რეფორმირების პროცესი დამთავრდება, შემდეგ ნარმანია ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გახდება, – განაცხადა ივანიშვილმა.

### ბიძინა ივანიშვილი მის წინააღმდეგ რევანშისტული გეგმის მზადებას არ გამორიცხავს

**როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ასეთი გეგმა ამ ეტაპზე არ არსებობს და საზოგადოებას შეუძლია მშვიდად იყოს.**

– რაც შეეხება რევანშისტულ გეგმას ჩემს წინააღდეგ, ასეთი გეგმა არ არსებობს და საზოგადოებას შეუძლია, მშვიდად იყოს. თუმცა, არ გამოვრიცხავ ასეთი გეგმის მზადებას, ჩვენ პოლიტიკური დევნის განხორციელებას არ ვაპირებთ და ამგვარ გეგმებს მათი არსებობის შემთხვევაში სამართლიანი სასამართლო გაარჩევს, – აღნიშნა ივანიშვილმა.

რაც შეეხება პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სოჭის ოლიმპიადის ჩაშლის მცდელობასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების" ლიდერი აღნიშნულ ინფორმაციას არასერიოზულს უწოდებს და აცხადებს, რომ სოჭის ოლიმპიადის ჩატარებას მიესალმება.

**ინტერპრესნიუსი**

## განგაში!

**„ბაჩო ახალაია, როლანდ ახალაია, მეგის ქარდავა სამივენი ზუგდიდში არიან და ემზადებიან... სარფის საბაჟოს კადრებს რაც შეეხება, რომლის თანახმადაც თითქოს ბაჩო ახალაიამ და მეგის ქარდავამ საქართველოს საზღვარი გადაკვეთეს, ეს არის აფერა, ეს იყო სპექტაკლი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რომ ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა ზუგდიდში არიან. არსად არ წასულან. დათა სად არის არ ვიცი. როლანდ ახალაია ზუგდიდში ჩნდება, ხოლო ბაჩო და მეგისი – არა", – აცხადებს „ამომრჩეველთა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია.**

### კახა მიქაია: ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა ზუგდიდში არიან, სადაც გამალებით მიმდინარეობს ყოფილი ზონდერების შეკრება

„არჩევნების დღეს ბაჩო ახალაიამ და მეგის ქარდავამ თბილისიდან ჩამოიყვანეს ათასკაციანი დაჯგუფება და ეს ხალხი დააბანაკეს ურთის მთაზე. ამ ხალხს დავალებული ჰქონდა ომის დაწყება. დიახ! მათ სამოქალაქო ომი უნდა დაეწყოთ იმ შემთხვევაში, თუ მიშას გაუჭირდებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სააკაშვილმა დამარცხება აღიარა და ესენი აირივნენ და დაიბნენ! ახლა ეს ათასკაციანი დაჯგუფება ურთის მთაზე არ არის, არ ვიცი სად არის, მაგრამ საკუთრივ ზუგდიდში გამალებით მიმდინარეობს ყოფილი ზონდერების, ე.წ. რეზერვისტების შეკრება. „ტყის ძმები", ძველი მხედრიონელები ახლა იკრიბებიან. ეს ხდება ჩიქობავას ქუჩაზე. ამ სახლის პატრონი არის ვინმე გოგიტა ჩომახია, რომელსაც 20 წელი ჰქონდა მისჯილი და ბაჩო ახალაიამ 3 წელიწადში გამოუშვა ციხიდან. აი, ამ სახლში იკრიბება ეს ხალხი, ხოლო მანქანა, რომელიც ამ სახლის წინ დგას , არის ცნობილი თორნიკე მალაზონიას მანქანა - იმ მალაზონიასი, რომელიც ალასანიამ ერთხელ უკვე ახსენა, როცა ბაჩოს ახალაიასადმი დაქვემდებარებული ზონდერდაჯგუფებები ჩამოთვალა", – აცხადებს კახა მიქაია.

„იმავე სახლში ასევე იკრიბებიან კუდ-ისა და სოდ-ის თანამშრომლები. ზუგდიდის კუდ-ისა და სოდ-ის ხელმძღვანელებმა– რუსლან შომახიამ და ბაკურ გულუამ თავიანთ ხელქვეითებს უკვე უბრძანეს – მე გეუბნებით ციტატას – „დაიწყეთ ყაჩაღობა, ჩაიდინეთ კრიმინალი, ოღონდ არ „დაიწვათ!" ეს ყაჩაღობები უკვე დაწყებულია და ხალხის დაყაჩაღება გახშირდა. ვიტყვი ასევე იმას, რომ 14 ოქტომბერს, კვირას, ზუგდიდში, დათო შენგელიას სიმამრის სახლიდან გამოვიდა 4 დაბურულმინებიანი ჯიპი და ერთი წავიდა ანაკლიაში – ვკითხულობ, რა ხდება და სად არის ის ათასი კაცი, ის ზონდერები, რომლებსაც მე ავაკითხე სქურში? ჩემი ინფორმაციით, ისინი გადანაწილებული არიან სახლებში და ელოდებიან ბაჩო ახალაიას ბრძანებას! ახალაიები და მათი ზონდერები ყველაფერს ელოდებოდნენ, მაგრამ ვერ წარმოიდგენდნენ სააკაშვილის მიერ არჩევნებში დამარცხების აღიარებას! თუმცა, მათ მაინც ჰქონდათ ძალიან ცუდი რაღაცის მოლოდინი და დამარცხების შემთხვევაში პროვოკაციებისთვის ემზადებოდნენ, რასაც გეგმავენ კიდეც!" – განაგრძობს კ. მიქაია.

„პირდაპირ ვაცხადებ – აშშ-ის ელჩმა ნორლანდმა გააჩერა მიხეილ სააკაშვილი, რათა მას არ მოეწყო პროვოკაციები სამეგრელოში და მთლიანად საქართველოს მასშტაბით. სააკაშვილი ვერ წავიდა დასავლეთის ნების წინააღმდეგ და მას მოსთხოვეს მარცხის აღიარება, რადგან ფაქტი სახეზე იყო– არჩევნები სუფთად მოიგო ბიძინა ივანიშვილმა. ვაღიარებ, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა ზუგდიდში ხმა მისცა როლანდ ახალაიას და ეს არის ზუგდიდისა და ზუგდიდელების, მთელი სამეგრელოს სირცხვილი. ირაკლი ალასანიასთვის კი არა, როლანდ ახალაიას ვინც გინდა ჰყოლოდა ზუგდიდში მოწინააღმდეგე, იმისთვის უნდა მიეცათ ხმა და კიდევ ერთხელ ვაცხადებ – ეს არის სამეგრელოს სირცხვილი! მიმიფურთხებია იმ ზუგდიდელისთვის, ვინც ნაძირალა როლანდ ახალაიას მისცა ხმა და მრცხვენია, რომ როლანდს აძლევენ ხმას ჩემს ქალაქში!" – ამბობს კახა მიქაია.

„კიდევ ერთხელ ვკითხულობ, სად არიან ეს ზონდერები? რატომ იკრიბებიან ამ სახლებში ეს ადამიანები, რას აპირებენ? რევანშისთვის ემზადებიან სააკაშვილის ხელისუფლება და ახალაიები? ბაჩო ახალაია ისეთი ფსიქიკის კაცია, რომელიც, ალბათ, სააკაშვილს არ დაუჯერებს და თავისას იზამს! – პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე. თუ ახალმა ხელისუფლებამ ისინი არ გაასამართლა და გარეთ დატოვა, ესენი ყველაფერს იზამენ და გადატრიალებას მოაწყობენ. ისენი არიან სახელმწიფო დამნაშავეები და კრიმინალები. ეს ხროვა უნდა გასამართლდეს და სამაგალითოდ დაისაჯოს – ყველაფერი, რაც მათ გააკეთეს, ერთ სიტყვაში შეიძლება ჩამოყალიბდეს – კრიმინალი! კრიმინალი უნდა იყოს ციხეში", – დასძენს კახა მიქაია.

**ინტერპრესნიუსი**

კომპეტენტური აზრი

# ჩინ-მედლები სოფლის მეურნეობის გაჩანაგებისთვის



## ანუ რატომ ვერ ვიყენებთ უზარმაზარ შესაძლებლობებსა და რეზერვებს

**საქართველო აგრარული ქვეყანაა, თანაც ისეთი შესაძლებლობების მქონე, პოლიტიკური ნება რომ ყოფილიყო, იგი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამოკვებასაც შეძლებდა და ექსპორტზეც გავიტანდით სოფლის მეურნეობის როგორც ნედლეულს, ისე მზა პროდუქციას. ასეთი შესაძლებლობების პირობებში, მაინც რამ განაპირობა ქვეყანაში აგრარული დარგის სრული განადგურება? ვფიქრობ, რამდენიმე მიზეზმა:**

**1) ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის სრულმა იგნორირებამ და პოლიტიკური ნების უქონლობამ;**

**2) მინისტრების ხშირმა ცვლამ და დარგის არაკვალიფიციური კადრების ხელში ჩაგდებამ;**

**3) ქვეყნის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის 1.5% პროცენტით დაფინანსებამ;**

**4) სამინისტროდან კვალიფიციური კადრების გაშვებამ, გაუაზრებელი, უაზრო რეფორმების გატარებამ;**

**5) მეცნიერების და ევროკავშირის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების უგულებელყოფამ;**

**6) ტრადიციული, მათ შორის, დამხმარე დარგების განადგურებამ;**

**7) უაზრო კორპორაციების და მომსახურე (საპიარო-სადემონსტრაციო პუნქტების) შექმნამ;**

**8) საკუთარი ბაზრის დაუცველობამ, იმპორტის წახალისებამ და ასე შემდეგ.....**

აი, ამან გამოიწვია ქვეყანაში ასეთი კატასტროფული ვითარება, როცა ადგილობრივი ფერმერი თუ გლეხი საკუთარი შრომით მოყვანილ პროდუქციას ვერ ყიდდა და დანახარჯებსაც ვერ ინაზღაურებდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში ფასეულობების გადაფასება, ვითომდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება დაიწყო (მამა ამ პოლიტიკისა – კახაბერ ბენდუქიძე), მაგრამ ამ პოლიტიკაში სოფლის მეურნეობისთვის ადგილი არ მოიძებნა. მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობა საჭირო არ იყო ასეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა და რომ იმპორტით მოხდებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციით უზრუნველყოფა, ხელისუფლებაში საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ ამ იდეის გასატარებლად ჯერ ტრადიციული დარგების განადგურება (მეცხვარეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, თამბაქო) იყო საჭირო. დაიწყოს კიდეც ქართული სოფლის დაცლა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე მონოპოლიების შექმნა. პარალელურად ნადგურდებოდა სამსახურები, რომლებსაც ევალებოდათ იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის დავარგისიანობის შემოწმება. ლიბერალური პოლიტიკის ეგიდით საზღვრებზე ყოველგვარი შემოწმების გარეშე შემოდიოდა საეჭვო წარმომავლობის ხილი, ბალჩეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები. ერთი მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტის სანაცვლოდ, თურქეთთან დაიდო ხელშეკრულება, რომელიც თურქეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის აბსოლუტურად დაუბეგრავად შემოტანას გულისხმობდა. ამ დროს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ექსპორტის შემთხვევაში, სტრატეგიული 100%-ით, ხოლო არასტრატეგიული 50%-ით იბეგრებოდა.

ამავე დროს გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, განადგურდა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოები (ისედაც მცირე რაოდენობა), მოისპო სტრატეგიული დარგი – მეჩაიეობა – და ნაწილობრივ მევენახეობა. მთლიანად გაანადგურეს ისეთი დარგები, როგორიცაა მელორეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, მემარცვლეობა, მებაღჩეობა, მეხილეობა. უყურადღებობისა და მოუვლელობისგან საქართველოს ყველა რეგიონში გაიზარდა ეროზიული პროცესები და გამოიფიტა ნიადაგი. აგროტექნიკა სოფლებში არ არსებობს და გლეხი თუ საშუალო ფერმერი კვლავ თოხის ამარაა დარჩენილი, სერვისცენტრები საჩვენებლადაა მოწყობილი. კრახი განიცადა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შემოყვანამ და ხელოვნური დათესვლის პუნქტების გახსნამ, სადაც ათეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა.

ესეც კამპანიურ ხასიათს ატარებდა („მამალი ძროხები“). გაუქმდა სოფლად აგრონომისა და ვეტერინარიის, ფიტოკარანტინის სამსახური, რამაც სავალალო შედეგები მოგვცა. ნარგავების 80% დაავადებულია. მეტიც, 21 საუკუნეში საქართველოში კვლავ მძვინვარებს ზოოანთროპოზული დაავადებები: ჯილეხი, ცოფი, ტუბერკულოზი, თურქული. მსხვილფეხა პირუტყვი დაავადებულია ჰელმითური დაავადებითა და ლეიკოზით. შესაბამისად დაბალია პროდუქტიულობა, კატასტროფული სიტუაციაა სურსათის უსაფრთხოების საკითხებშიც, კრახი განიცადა 100 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნამ და სხვა პროექტებმა, რაც მხოლოდ და მხოლოდ პიარზე იყო გათვლილი. სოფლის მეურნეობის განადგურებისთვის და „ახალი ჯიშის“ გამოგონებისთვის („მამალი ძროხა“) ქვეყნის უმაღლესი ჯილდოები გადასცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოფლის მეურნეობის „ამაგდარ“ მინისტრს ბაკურ კვეზერელს და იქვე საკუთარი კორპორაცია შეუქმნა, ეტყობა, შეეცოდა პატარა მეგობარი, მინისტრობისას ჩაჯიბული მილიონები რას ეყოფოდა, მერეც ხომ უნდა ცხოვრება კაცს! არც მისი მოადგილეები დავიწყებია ამხანაგ სააკაშვილს და ისინიც სარფიანად დაასაქმა.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა მსოფლიოში აგრარულ სექტორში. ექსპერტები აცხადებენ, რომ დედამიწის მთლიანი ფართობის 78% სოფლის მეურნეობისთვის გამოუსადეგარია, ფართობის 13% დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, 6% – საშუალოდ პროდუქტიული, მხოლოდ 3% მაღალპროდუქტიული, ნოყიერი. დღეს დედამიწის მხოლოდ 11%-ია დამუშავებული, 24% საძოვრებად გამოიყენება.

ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც ისრაელია, სადაც აპრილიდან ოქტომბრამდე არ წვიმს, რძის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა – წლიური მონაწველი 9-12 ათას ლიტრს შეადგენს. შედარებისთვის, ამერიკაში იგი 9-10 ათასი ლიტრია, ევროპაში (საშუალოდ – 8-9 ათასი ლიტრი. ისრაელი ბაღჩეული კულტურების წარმოებით მეორე, ხოლო კვერცხის წარმოებით მესამე ადგილზეა მსოფლიოში. ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 17% სოფლის მეურნეობაზე მოდის, მაშინ, როცა დარგში მოსახლეობის მხოლოდ 6%-ია დაკავებული. იტალიის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 10% სოფლის მეურნეობის სექტორი იძლევა, სადაც მოსახლეობის 14%-ია დასაქმებული. სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულებებია: მემცენარეობა, მეხილეობა და მევენახეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ოფიციალურად მოსახლეობის 57%-ია დასაქმებული. ჩვენთან სოფლის მეურნეობის წილი საერთო ეროვნულ შემოსავალში 12% შეადგენს. ერთი ისრაელელი ფერმერი 97 თანამემამულეს კვებავს, ამერიკელი ფერმერი – 79, ევროპელი (საშუალოდ) – 67, უკრაინელი – 17.4, რუსი – 14.7, ხოლო ქართველი ფერმერი – 0.85, ე.ი საკუთარ თავსაც ვერ უზრუნველყოფს საკვებით, არადა დარგში ქვეყნის 57%-ია დასაქმებული!

საქართველოში აგრარულ სექტორში დასაქმებულთა 50 პროცენტი დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობა არავითარ როლს არ ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. ამას საბჭოთა პერიოდიც მოწმობს. იმ დროს საქართველო მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო, რომლის წილი საკვები პროდუქტებით რესპუბლიკათშორის ვაჭრობაში 10%-ს შეადგენდა.

რეზერვი და რესურსი ძალიან დიდია. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების 75% სახელმწიფო საკუთრებაშია და, ძირითადად, გამოუყენებელია. ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოს მომავალმა მთავრობამ თამამი ნაბიჯები უნდა გადადგას გლობალურ ეკონომიკაში, უფრო მეტად ინტეგრირებისთვის ისეთი საერთაშორისო შეთანხმებების დადების გზით, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები: თურქეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (დსთ), უსაფრთხოების ნორმების ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან, ისრაელთან. იმედია, წახალისდებიან ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში, სოფლად დასაქმდებიან.

აღდგება ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი, რომელსაც დიდი ტრადიციები ჰქონდა და შესანიშნავი სამეცნიერო სკოლა არსებობდა. იქნებ გვეფიქრა ისეთი ტიპის მეურნეობების შექმნაზე, როგორიც ისრაელში კიბუცებია.

სასწრაფოდ აღსადგენია მელიორაციის სამსახური და ნაკვეთების ახალი ტექნოლოგიური რწყვის სისტემაზე გადასვლა (წვეთოვანი რწყვა), რაც წყლის რესურსებს დაზოგავს, ნიადაგის ახალი ტექნოლოგიებით დამუშავება, რაც შეამცირებს ნიადაგის გამოფიტვასა და ეროზიებს, მეცხოველეობაში გეგმიური აცრების დაბრუნებას ლაბორატორიული გამოკვლევებისა და, მინიმუმ 5 განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებზე ცხოველებში უფასო პროფილაქტიკური აცრების ჩატარებას, ტრადიციული კულტურების (ჩაი, ციტრუსი და მევენახეობა) ნარგავების განახლება.

რაც მთავარია, ვხედავ რომ საამისოდ არსებობს ქვეყნის ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ფინანსური უზრუნველყოფა.

აი, ეს არის ჩვენი ქართული ოცნება!

**ნიკოლოზ გუგუშვილი,**
სოფლის მეურნეობის ექსპერტი
უკრაინა, კიევი

ინფორმაცია

# ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით მიიღო

**ბიძინა ივანიშვილს** მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით მიენიჭა, — ამის შესახებ ივანიშვილის ადვოკატმა შალვა თადუმაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, 27-ე მუხლში წერია, რომ პრეზიდენტს ამ უფლების გამოყენება შეუძლია პროცედურების გათვალისწინების გარეშე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება საფრანგეთის მოქალაქეობის შეწყვეტას, თადუმაძის განცხადებით, შესაბამისი მოთხოვნით საფრანგეთს დეკემბერში მიმართეს.

— მათ ჰქონდათ საკმარისი დრო იმისთვის, რომ საჭირო პროცედურები განეხორციელებინათ. შესაბამისად, ველოდები, რომ ძალიან მალე გახდება ცნობილი, რომ ბიძინა ივანიშვილს საფრანგეთმა მოქალაქეობა შეუწყვიტა“, — აღნიშნა შალვა თადუმაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. ამის შესახებ პრეზიდენტის რეზიდენციაში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ბრძანებულება ამოქმედდება საფრანგეთში ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტისთანავე.

—საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის I პუნქტის, ბ, ც პუნქტის და 33-ე მუხლის შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, — განმარტა მანანა მანჯგალაძემ.

ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა 2011 წლის 11 ოქტომბერს პრეზიდენტის განკარგულებით შეუწყდათ. მოგვიანებით სასამართლომ პრეზიდენტის განკარგულება მხოლოდ ეკატერინე ხვედელიძის მიმართ გააუქმა. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღება მოითხოვა. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 4 აპრილის დასკვნით, ივანიშვილს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე უარი ეთქვა.

ინტერპრესი

ევროსასამართლო

# საქართველოს გიორგი მიქიაშვილისთვის 12 000 ევროს გადახდა დაეკისრა

**საქართველოს სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კიდევ ერთი საქმე წააგო. საუბარია საქმეზე მიქიაშვილი — საქართველოს წინააღმდეგ, რომლის შესახებაც გუშინ for.ge-ს პრესკლუბში ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ზაზა ხატიაშვილმა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელმა მარიამ ჯიშკარიანმა ისაუბრეს.**

სტრასბურგის სასამართლოში ეს საქმე „ემპათიამ“ 2006 წელს გაგზავნა, მიქიაშვილის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი იცავდა. საქართველოს სახელმწიფომ საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით წააგო, რაც პოლიციის სამმართველოში დაკავებულის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას და ასევე არაეფექტიან გამოძიებას ეხება. მარიამ ჯიშკარიანის ინფორმაციით ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ევროკონვენციის მესამე მუხლი დაპატიმრებული გიორგი მიქიაშვილის მიმართ ციხეში არასათანადო მოპყრობასთან მიმართებაშიც არის ნახსენები და საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოს მიქიაშვილის სასარგებლოდ 12 000 ევროს გადახდა დაეკისრა.

**„მოკლედ შეგახსენებთ ამ საქმეს, რომელიც საკმაოდ გახმაურებული იყო და სახალხო დამცველის იმდროინდელ მოხსენებაშიც არის აღწერილი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციებიც ინფორმირებულები იყვნენ მის შესახებ. ეს იყო პოლიციის მიერ ფეხბურთელი ბიჭის უსამართლო დაკავება. ბრალდება სრულიად უსაფუძვლო იყო. კერძოდ, გიორგი მიქიაშვილის მეგობრები ქუჩაში მოძრაობდნენ, მათ უკან მიყვებოდნენ გოგონები, რომლებიც მათი მეუღლეები იყვნენ. ძალიან გამიკვირდა, როდესაც საქმის მასალებს გავეცანი და ვნახე, რომ თურმე პოლიციის თანამშრომლებს მოეჩვენათ, თითქოს მობილური ტელეფონები, რომლებიც ამ ბიჭებს ეჭირათ, მათ უკან მიმავალ გოგონებს ეკუთვნოდათ. მე ფსიქიატრი გახლავართ და გეტყვით, რომ ასეთ მოჩვენებებს ბოდვა ჰქვია. გიორგი მიქიაშვილი ამ დროს მანქანაში იჯდა და დაინახა, პატრული როგორ აყენებდა შეურაცხყოფას მის მეგობრებსა და მათ მეუღლეებს. ამიტომ იგი გადმოვიდა მანქანიდან და მეგობრებს გამოესარჩლა. ამის გამო საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შედეგადაც თავის ტრავმა მიიღო და რეაქტიული ფსიქოზური მდგომარეობა განუვითარდა. ამის შემდეგაც ციხეში მას არაადამიანურად ეპყრობოდნენ. ეს ყველაფერი სტამბოლის პროტოკოლით „ემპათიას“ მიერ იყო დოკუმენტირებული ექსპერტიზაზე“,** — აღნიშნავს „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი.



მისი შეფასებით, ეს საქმე იურისტებისა და სამედიცინო ექსპერტების ერთობლივი ინტერვენციის შედეგად მიღწეული წარმატებაა. მარიამ ჯიშკარიანის განცხადებით, გიორგი მიქიაშვილი 2006 წლის აგვისტოში ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ გოგა ბუთლიაშვილმა სცემა, ეს ის ადამიანია, რომელიც ციხის ცნობილ სკანდალში მონაწილეობდა და ცენტრ „ემპათიას“ მასზე სხვა საქმეებიც აქვს. მარიამ ჯიშკარიანის განცხადებით, საქმის ამ ნაწილში ევროსასამართლო ადგენს, რომ გამოძიება არაეფექტიანად ჩატარდა, რის გამოც საქართველოს სახელმწიფო ევროკონვენციის მესამე მუხლით არის გამტყუნებული.

**„ჩვენ გვიპირისპირდებოდა მთელი სატელევიზიო ბანდა. გიორგი მიქიაშვილი თავიდან დამნაშავედ ჰყავდათ გამოყვანილი. დღეს მე დავამტკიცე, რომ საპატრულო პოლიცია, რომელიც დემოკრატიის შუქურის ერთ-ერთ სახედ იყო აღიარებული, ადამიანების წინააღმდეგ ძალადობას სჩადიოდა, სცემდა, უდებდა ნარკოტიკებს, აუბედურებდა ადამიანებს და შემდეგ საპატრულო პოლიციის მიერ ნაწამები ადამიანები ფსიქიატრიულ კლინიკებში ხვდებოდნენ. მაშინ სულ 4-5 ადამიანი ვიყავით ამ საქმეში ჩართულები, ხოლო მთელი სამოქალაქო საზოგადოება ტაშს უკრავდა პატრულს. მე კი ვამბობდი, რომ ამ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილება დადგებოდა და ყველა ეს ადამიანი ბოდიშს მოიხდიდა. ბოდიშის მოხდას ვინ ჩივის, დღეს, როდესაც მე, ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს, პრესკონფერენციის ჩატარება მინდა, ყველა ის ტელევიზია, რომელიც სააკაშვილს ტაშს უკრავდა, არ მოდის ამ საქმის გასაშუქებლად“,** — ამბობს ზაზა ხატიაშვილი.

მისი თქმით, დღეს გიორგი მიქიაშვილის საქმის მიჩქმალვას ცდილობენ. ზაზა ხატიაშვილის შეფასებით, მიქიაშვილის საქმე სანდრო გირგვლიანის საქმეზე უფრო მძიმეა, რადგან მისი წამება თვეების განმავლობაში პერმანენტულად ხორციელდებოდა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ამბობს, რომ გიორგი მიქიაშვილს შესაბამის წამლებს არ აძლევდნენ, რის გამოც ცენტრი „ემპათია“ იძულებული იყო, საკუთარ თავზე სახელმწიფოს ფუნქციები აეღო და ამ ადამიანის მკურნალობა უზრუნველეყო.

**„საქართველოში პირველად, ამ საქმეზე დაიდო სტამბოლის პროტოკოლით გათვალისწინებული ექსპერტიზა, რომელსაც მარიამ ჯიშკარიანი აწარმოებდა, და რითაც სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი ძალადობის რამდენიმე ფაქტი დადასტურდა. ამდენი წელია ადვოკატი ვარ და არც ერთ საქმეში არ მინახავს ასეთი ხანგრძლივი, დროში გაწელილი ძალადობა. ხელისუფლებას სურდა გიორგი მიქიაშვილის გატეხვა, დაჩოქება. სააკაშვილი-მერაბიშვილი-ადეიშვილის ტრიოს უნდოდა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, თითქოს ყველა ადამიანი, ვინც პოლიციას უჩივის, არის დამნაშავე“,** — აღნიშნავს ხატიაშვილი.

მისი თქმით, ამ საქმეში ჩართული ადამიანები (თავად ხატიაშვილი, გიორგი მიქიაშვილი და მარიამ ჯიშკარიანი) არ აპირებენ, რომ კომპენსაცია აიღონ და გაჩუმდნენ. ზაზა ხატიაშვილი მოითხოვს, რომ გასამართლდეს იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და ყველა ის ადამიანი, რომლის ხელიც ამ საქმეში ურევია. ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ცნობილია იმ პოლიციელების გვარები და სახელები, ვინც გიორგი მიქიაშვილის დაკავებაში მონაწილეობდა, ხოლო დანარჩენთა ვინაობა, ვინც ამ საქმეში რაიმე ფორმით იყო ჩართული, მიუკერძოებელმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

**ნინო ჟღენტი**

მრგვალი მაგიდა

# იმსჯელეს საქართველოს სამეზობლო პოლიტიკაზე

**ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობის“ ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში თემაზე — „საქართველო და სამეზობლო პოლიტიკა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ“ — მრგვალი მაგიდა გაიმართა.**

როგორც შეხვედრის გახსნისას ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ აღნიშნა, ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ როგორი კურსით უნდა წარიმართოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა. სწორედ ამიტომაც „კავკასიურმა თანამშრომლობამ“ ამ თემაზე სამსჯელოდ აკადემიკოსებს მოუხმო. როგორც აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, მეცნიერებათა აკადემია სამეზობლო პოლიტიკის აქტიური განვითარების მომხრეა. მისი მოსაზრებით, თუ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოსთან — რუსეთთან ურთიერთობა არ მოგვარდება, არაფერი გამოვა.

**„ეს ძალზე ფაქიზი საკითხია. ამიტომ მხარს ვუჭერთ იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებას“აქვს აღებული“,** — აღნიშნა როინ მეტრეველმა.

როგორც მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ყოფილმა ელჩმა ეგვიპტეში, ლიბანში, სირიასა და იორდანიაში აპოლონ სილაგაძემ განაცხადა, სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის ქონა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ სამწუხაროდ, აქამდე „ქართულ საგარეო პოლიტიკას ღირსების კვალი არ ჰქონია“. ამის დასტურად მან საკუთარი დიპლომატიური საქმიანობის დროინდელი პერიოდი და მაშინ დაშვებული შეცდომები გაიხსენა, როცა საქართველოდან უცხოეთში არსებულ დიპლომატიურ წარმომდგენლობებში ამ მხრივ გაუთვლელი, არასაჭირო ნაბიჯები იდგმებოდა.

**„საგარეო პოლიტიკა კეთილმეზობლური, დაბალანსებული უნდა იყოს. საქართველოს შეუძლია, რეგიონში ცენტრალური ფიგურა იყოს. სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან ომი აქვთ და ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ“,** — აღნიშნა აპოლონ სილაგაძემ.

კამათი გამოიწვია საქართველოს დღევანდელმა მდგომარეობამ კავკასიის რეგიონში. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ტრადიციულად წამყვანი პოზიციები ეკავა კავკასიაში. დისკუსიის მონაწილეების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პრინციპულად დღესაც იგივე ვითარებაა, საქართველოს გვერდის ავლით კავკასიაში საქმეები არ გადაწყდება, თუმცა, მეორე ნაწილმა მიუთითა იმაზე, რომ ბოლო პერიოდში რეგიონული ლიდერობა, არა მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური, არამედ სამეცნიერო განვითარების დონითაც, აზერბაიჯანმა მოიპოვა. ამაზე მეტყველებს შესაბამისი სტატისტიკაც.

როგორც პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა აღნიშნა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მინუსი დაუსაბუთებელი, ვიღაცის გასალიზიანებლად წარმოთქმული ინიციატივები იყო, რომლებიც, უპირველესად, მოსახლეობას ძვირად უჯდებოდა. ამიტომ ასეთი მიდგომა უნდა შეიცვალოს. იგი მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საგარეო პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, დაპირებებსა და შესაძლებლობებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობები ელის.

**„იმაში, რომ კოალიცია დანაპირების შესასრულებლად ენერგიას არ დაიშურებს, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ არ მეგულება ბერკეტი, რომლითაც რუსეთზე იმოქმედებს — მას ვერც დააშინებ, ვერც ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებ. ერთადერთი, რაშიც რუსეთს საქართველოს დახმარება სჭირდება, ის არის, რომ მისი ტერიტორიიდან შეიარაღებული მებრძოლები არ გადმოვუშვათ, არ მოვაღონიეროთ, არ ვუმკურნალოთ და უკან არ გადავუშვათ. ის, რასაც რუსეთთან გარკვეულ დონეზე შეიძლება მივაღწიოთ ეკონომიკური კავშირების დამყარება იქნება, თუმცა, რუსეთს ამას გარკვეულწილად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობაც ავალდებულებს“,** — განაცხადა ომარ გოგიაშვილმა.

მისი თქმით, რუსეთის ახალგაზრდა თაობისათვის საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მათი მტრები ცხოვრობენ. ამიტომ მნიშვნელოვანია კონტაქტების გაცხოველება, რათა ეს გაუცხოება დაიძლიოს.

საკუთარი მოსაზრებები მრგვალი მაგიდის მონაწილე სხვა სპეციალისტებმაც გამოთქვეს. ეკონომისტმა, პროფესორმა იოსებ არჩვაძემ ყურადღება რუსეთის ბაზრის მნიშვნელობაზე გაამახვილა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც მოიხმო. **„რუსული ემბარგოს შემოღების შემდეგ საქართველომ 800-მილიონიანი ზარალი ნახა, ფაქტობრივად, რუსულ ბაზარზე 100-ათასობით ჩვენი თანამემამულე მოღვაწეობს, საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების დაახლოებით 2/3-მდე რუსეთიდან შემოდის, 2003 წლის შემდეგ ამ ტიპის ტრანზაქციებმა გადაუსწრეს უცხოური ინვესტიციების მოცულობას. რაც შეეხება ღვინოს, ევროპაში ღვინის ექსპორტი წინა წლებთან შედარებით 3-ჯერ არის გაზრდილი, მაგრამ ეს იმის 10 პროცენტია, რაც რუსეთში გადიოდა 2006 წლამდე, ანუ დღეს მთლიანად, 2003 წლამდე მონაცემებთან შედარებით, მაშინდელი რაოდენობის მხოლოდ 40 პროცენტი ღვინო გადის ექსპორტზე“.**

**ცნობისათვის:** ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე პერიოდულად აწყობს მრგვალ მაგიდებს.

**მედიანიუსი**

◉ ტარიფი და ხელისუფლება

# ნაგავი პოლიტიკური დივიდენდებისთვის



**თბილისის მერია ისეთივე უპასუხისმგებლო ქმედებებს აგრძელებს, როგორც ამას „ნაცმოძრაობის“ „ყვავილობის“ ხანაში აკეთებდა. რამდენიმე დღის წინათ თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი კოკი იონათამაშვილი აცხადებდა, რომ თბილისის მერია დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადის განცალკევების მოდელზე მუშაობდა. დღეს კი თბილისის მერი გიგი უგულავა აცხადებს, რომ თბილისის მერია ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადის განცალკევების საკითხს არ განიხილავს.**

„ნაციონალურ“ გეგმებში ნაგვისა და ელექტროენერგიის გადასახადების განცალკევება არც არასდროს შედიოდა და, სხვათა შორის, ამ გადასახადის გამო ცინიკური განცხადებების კეთება გიგი უგულავას ახლა არ დაუწყია – გრიბოედოვის თეატრში „ნაცმოძრაობის“ წევრებს და მომხრეებს წინასაარჩევნოდ რომ „ამუშავებდნენ“, უგულავა მაშინაც ანეკდოტივით ყვებოდა, როგორ სთხოვეს არაბული ქვეყნების წარმომადგენლებმა კომუნალური გადასახადების ადმინისტრირებაში გამოცდილების გაზიარება. მათაც ასწავლეს, რომ ნაგვის გადასახადი დენზე მიებათ. შედეგად, თურმე საამიროებში მრავალათასიანი გაფიცვა და ხალხის პროტესტი მიიღეს, მაშინ, როცა თბილისელები ამ გადასახადს ხმის ამოუღებლად იხდიდნენ.

როგორც კოკი იონათამიშვილმა განაცხადა, დენი და ნაგავი მხოლოდ წაგებული არჩევნების შემდეგ არ გახსენებიათ, არჩევნებამდეც ახსოვდათ და სწორედ ამ ფარგლებში რიგდებოდა 1000-ლარიანი ვაუჩერები, გამარჯვების შემთხვევაში. როგორც მათ გაარკვიეს, თურმე თბილისელების უმეტესობა ამ 1 000-ლარიანი ვაუჩერების მოხმარებას სწორედ კომუნალური გადასახადების გადასახდელად გამოიყენებდა.

როგორც იონათამიშვილმა განგვიმარტა, რაკი არჩევნები წააგეს და 1000-ლარიან ვაუჩერებს ვერ დაარიგებენ, სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში დენისა და ნაგვის გადასახადების განცალკევების საკითხი, თუმცა იონათამიშვილმა არ დააკონკრეტა, რა მოდელზე იგეგმებოდა გადასვლა.

ამ საკითხის განსახილველად თბილისის მერმა გამარჯვებული კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატები დაპატიჟა, თუმცა პარლამენტარებმა წინასწარვე განაცხადეს, რომ ეს მათ კომპეტენციაში არ შედიოდა და მერთან სალაპარაკოდ თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მივიდოდნენ.

ახლა უგულავა ამბობს, რომ გადასახადები არ განცალკევდება, სამაგიეროდ, თბილისელებისთვის გადასახადების სხვა ოპტიმალური ვარიანტები აქვს.

უგულავამ ჯერჯერობით ორი ვარიანტი შემოგვთავაზა: ვარიანტი A – არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში, სეზონური ტარიფის შემოღებას გულისხმობს, ანუ ზამთარში ელექტროენერგია უფრო ნაკლები ეღირება, ვიდრე სხვა სეზონებზე, რადგან ზამთარში დენის მოხმარება მეტია. უგულავას ლოგიკით, ამ სისტემას თავისი უპირატესობებიც აქვს, თბილისში 25 ათასი ბინა დაკეტილია და შესაბამისად, თუ ბინა დაკეტილია, გადასახადსაც არ იხდის.

ვარიანტი B დასუფთავებაზე ფიქსირებული გადასახადის დაწესებას გულისხმობს და ეს ოჯახზე 7 ლარი იქნება.

რაც შეეხება სეზონურ ტარიფს, უგულავას მის შემოღებასთან ნამდვილად არაფერი ესაქმება, ეს სხვა უწყებების გადასაწყვეტი საქმეა. შემდეგ კი უკვე შეექლება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს, გადაწყვიტონ, რომელი მოდელია ხალხისთვის უფრო მეტად მისაღები. საერთოდ, ტარიფებისა და კომუნალური გადასახადების საკითხს ის პარლამენტიც განიხილავს, რომელიც, სავარაუდოდ, 20 ოქტომბრისთვის უკვე შეიკრიბება. უგულავას თუ სურდა, ქულები „ნაცმოძრაობისთვის“ ჩაეწერა, შეექლო ტარიფების განცალკევების გადაწყვეტილება ამ უცნაური სპექტაკლების გარეშეც მიეღო.

როგორც ექსპერტი ვაჟა ბერიძე ამბობს, ამით მერია ცდილობს, ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შეიჭრას.

უგულავას განცხადებით, „ვარიანტი B“, მისი აზრით, უფრო ლოგიკური და საინტერესოა, ხოლო, რაც შეეხება სოციალური ოჯახებისთვის შეღავათებს, ის ისევ გაგრძელდება.

**„ჩვენ შევთანხმდით, რომ 50 ათასი თბილისური ოჯახი ნებისმიერ შემთხვევაში გადაიხდის ტარიფის მხოლოდ ნახევარს“,** – აღნიშნა გიგი უგულავამ.

მისივე განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა მომავალ კვირასაც გაგრძელდება, რათა საკრებულოს უახლოეს სხდომამდე ოპტიმალურ ვარიანტზე შეჯერება მოხდეს.

ვაჟა ბერიძის შეფასებით, ასეთ შემთხვევაში სოციალური სამართლიანობა ირღვევა, მრავალრიცხოვანმა და ერთსულიანმა ოჯახმა ერთი და იგივე თანხა არ უნდა გადაიხადოს.

ექსპერტი დავით ნარმანია აცხადებს, რომ ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ნაბიჯია და ამით ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური ქულების ჩაწერა სურს.

როგორც დავით ეზრალიძე განმარტავს, თუკი ტარიფი ფიქსირებული იქნება, მისი ადმინისტრირება შედარებით გაიოლდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უნდათ, რომ ტარიფი ცვალებადი იყოს, ალბათ, საქმე გართულდება.

ვაჟა ბერიძის შეფასებით, ეს იყო უსამართლო გადასახადი, რომელსაც არანაირი ეკონომიკური დასაბუთება არ ჰქონდა და მოსახლეობისგან ფულის ამოღების ერთ-ერთი გზა და საშუალება იყო.

**„ახლა, უკან დახევით, ერთი მხრივ, ცდილობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეინარჩუნონ გავლენა და რევანშისთვის მოემზადონ, მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად შეუმცირონ დასაბეგრი ბაზა ახალ ხელისუფლებას“,** – მიიჩნევს ვაჟა ბერიძე.

ვაჟა ბერიძე ამბობს, რომ როდესაც ნაგვის გადახდაზეა ლაპარაკი, ჯერ უნდა ვიცოდეთ, რა ჯდება დასუფთავების სამსახურის შენახვა, ამის შემდეგ კი უნდა შეირჩეს სოციალურად სამართლიანი გადასახადი, რომელიც მოსახლეობას მძიმე ტვირთად არ დააწვება.

**მარიამ თოდაძე**

◉ ალიაქოთი

***წინასაარჩევნო** პერიოდში ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად გადაყვანამ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, გაჩნდა უამრავი მოსაზრება იმაზე, თუ რას უკავშირდებოდა მერაბიშვილის გადანაცვლება და ეს მისი დაწინაურება იყო, თუ ჩამოქვეითება. საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო, ნაწილი ფიქრობდა, რომ სააკაშვილმა მერაბიშვილი შსს-ს იმიტომ ჩამოაშორა, რომ საარჩევნოდ ამ უწყებაში ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელი ჰყოლოდა, როგორიც ბაჩო ახალაიაა, ვანო მერაბიშვილს კი შეიძლებოდა სააკაშვილისთვის რაიმე უგუნური ბრძანების გაცემის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწია. მოსახლეობის მეორე ნაწილი კი ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი საზოგადოების და, მათ შორის, ოპოზიციის თვალის ასახვევად და ყურადღების მოსადუნებლად გაკეთდა, სინამდვილეში კი სააკაშვილი და მერაბიშვილი ერთ თამაშს თამაშობდნენ.*

*მთელს ამ ამბავში ძალიან საინტერესოა, როგორი განწყობები იყო თავად იმ უწყებებში, რომლებსაც მერაბიშვილი და ახალაია ხელმძღვანელობდნენ. რას ფიქრობენ შინაგან საქმეთა სამინისტროში მერაბიშვილის ჩამოქვეითებაზე, მოსწონდათ თუ არა მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაია და რას ფიქრობენ მინისტრობის ახალ კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილზე, ასევე რატომ გადაწყვიტა „ნაცმოძრაობამ“ პოლიციის სამმართველოების ხელმძღვანელებს საუწყებო მანქანები ჩამოართვას და გამგებლებს დაურიგოს, ამის შესახებ for.ge-ს პოლიციის კაპიტანი ესაუბრება, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ განწყობებზე საუბარზე თანხმობა განაცხადა.*

# რა ხდება პოლიციაში?

**პოლიციის კაპიტანი:** „ვინც რა არ უნდა თქვას, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვანო მერაბიშვილი ძალიან ბევრს უყვარს და ბევრიც პატივს სცემს, რადგან თანამშრომლებს მან ყველანაირი პირობა შეუქმნა სამუშაოდ. სამინისტროს თანამშრომლები მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კარგად არიან უზრუნველყოფილები, ხელფასებიც სხვებთან შედარებით ნორმალურია. ერთადერთი, რაც დისკომფორტს ქმნიდა, იყო პოლიტიკური წნეხი, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი არ იყავი, ვერც თანამდებობას მიიღებდი და ვერც ვერანაირ პრივილეგიას. ფაქტობრივად, თანამდებობის პირების 80-90% სწორედ ამ ნიშნით არის დანიშნული, თუ რამდენად ერთგული იყო იგი „ნაციონალური მოძრაობის“, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ სამინისტროს თანამშრომლების უმეტესობა ფიქრობს, რომ ეს ტენდენცია უფრო ზემოდან მოდიოდა და არა თავად ვანოსგან.

ამდენად, ვანო მერაბიშვილის მიმართ კეთილგანწყობა სამინისტროში დღესაც დიდია. როდესაც იგი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა და თითქოს დაწინაურეს, ჩვენთან ეს სულ სხვანაირად აღიქმებოდა, სამინისტროში ყველა ფიქრობდა, რომ მერაბიშვილი ამ სტრუქტურას შეგნებულად ჩამოაშორეს, რითაც დაასუსტეს და ამიტომ ეს აღიქმებოდა, როგორც ვანოს საწინააღმდეგო ქმედება. ამიტომ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა იყო, რადგან სამინისტროს თანამშრომლების განწყობა ხელისუფლების მიმართ ძირეულად შეიცვალა. როგორც კი ბაჩო ახალაია მოვიდა, დაიწყო მუშაობა ვანოს წინააღმდეგ, დაიყარა ხმები, რომ თითქოს ბაჩო ახალაიას არანაირი ფინანსური ინტერესები არ აქვს, ვანოს კი ძალიან ბევრი ფინანსური ინტერესი ჰქონდა.

**– ხომ არ ყოფილა საუბარი, რომ ვანო მერაბიშვილის დაჭერა იყო გადაწყვეტილი, ან მსგავსი რამ?**

– დაჭერაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ იყო მინიშნებები, რომ პრემიერ-მინისტრობიდანაც გადააგდებდნენ და ეს როგორც რაღაც კანონზომიერი, ისე მოხდებოდა. ამ დროს ძალიან ბევრი დეპარტამენტის თავმჯდომარე გაუშვეს სამსახურიდან. ესენი იყვნენ ადამიანები, ვისაც ძალიან ბევრი დამსახურება ჰქონდა, მიღებული ჰქონდათ ორდენები და ა.შ. უცებ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები საჭირონი აღარ იყვნენ და გაუშვეს, მხოლოდ იმიტომ, რომ – „ეს იქით არის“.

**– ანუ ვანოს კადრები გაუშვეს?**

– დიახ, მაგრამ საუბარი მაქვს უფრო ქვედა რგოლებზე, თორემ ზემოთ რაც ხდებოდა, ეს უფრო საჯარო იყო და ისედაც ცნობილია. ამიტომ ამ ყველაფერმა ხელისუფლების მიმართ პოლიციის განწყობა მკვეთრად შეცვალა და არჩევნებზეც მათ წინააღმდეგ იმუშავა. მიმაჩნია, რომ დიდწილად ამან იმუშავა არჩევნებზე „ნაციონალების“ წინააღმდეგ, რადგან, როგორც ჩემთვის ცნობილია, „ქართულმა ოცნებამ“ სპეცუბნებზეც კი ძალიან ბევრი ხმა მიიღო და ამან უფრო შეაშფოთა ხელისუფლება და დააფიქრა იმაზე, რომ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მათთვის კარგი არ იქნებოდა, რადგან არჩევნების შედეგები რომ გამოცხადდა, პოლიციის განყოფილებებში და, საერთოდ, სტრუქტურაში ისეთი ენთუზიაზმით შეხვდნენ და ისეთი გახარებულები იყვნენ, რომ ხელისუფლებას ამაზე სერიოზულად დაფიქრება მოუწია.

**– რაც შეეხება ციხის კადრებს, რას ფიქრობენ ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში?**

– ძალიან ბევრს სჯერა, რომ ეს კადრები სწორედ ვანოს დახმარებით გავრცელდა. თანამშრომლები ფიქრობენ, რომ ვინაიდან ბაჩომ ვანოს წინააღმდეგ სერიოზული მუშაობა დაიწყო, მერაბიშვილის მხრიდან ეს საპასუხო რეაქცია იყო.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## ფინანსთა სამინისტროს ტოპმენეჯმენტში სერიოზული ცვლილებები იქნება

**ნოდარ ხადური საქართველოს ბიუჯეტის მაქსიმალურ გამჭვირვალობასა და ქვეყანაში მეტი სამუშაო ადგილის შექმნაზე იზრუნებს.**

**როგორც ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ჟურნალისტებს განუცხადა, სერიოზული გეგმები აქვს იმასთან დაკავშირებით, რა პროექტებიც სამინისტროში უნდა განახორციელოს.**

**– აუცილებელია ბიუჯეტი იყოს უფრო გამჭვირვალე და ეს ასეც იქნება. ასევე, ჩვენთვის პრიორიტეტულია, ქვეყანაში შეიქმნას რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.**

**რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მისი განმარტებით, სერიოზული ცვლილებები იქნება სამინისტროს ტოპმენეჯმენტში. დანარჩენი პროფესიონალი თანამშრომლები კი სამუშაო ადგილებს შეინარჩუნებენ.**

**გარდა ამისა, ნოდარ ხადურის განმარტებით, საქართველომ ნელ-ნელა უნდა დაიწყოს იმ საგარეო ვალისა და ევრობონდების დაფარვა, რომელიც ამ ეტაპზე გააჩნია და მომავალში ვალის აღებისგან თავი უნდა შეიკავოს, ხოლო ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური რესურსი გამოყენებული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.**

ინტერპრესი

ალიაქოთი

(მეხუთე გვერდიდან) მათ დაპირისპირებაზე საუბარი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, ახალაია თავდაცვის მინისტრი რომ იყო, თუმცა მე არ ვიცი, საიდან მოდის ეს დაპირისპირება. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ბაჩოს შს მინისტრად დანიშვნამ სამინისტროს თანამშრომლების განწყობა რადიკალურად შეცვალა. ეს ადამიანები ხედავდნენ, რომ ვისაც ამ ხელისუფლების წინაშე ძალიან დიდი დამსახურება ჰქონდა, ისინიც კი დაითხოვეს. ამიტომ ყველას ჰქონდა განცდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ, ალბათ, ყველას დაითხოვდნენ. ამ საკითხზე ყველა სერიოზულად დაფიქრდა, რადგან როდესაც ხედავ, რომ ადამიანი ძალიან ბევრს აკეთებს და მის ღვაწლს არაფრად ჩააგდებენ და მოისვრიან სამსახურიდან, ბუნებრივია, გიჩნდება განცდა, ამას რომ ასე ექცევიან, მე რას დამმართებენო. ციხის კადრებმა კი ხელისუფლებას იმათი მხარდაჭერაც დაუკარგა, ვინც ბაჩოს მოსვლის შემდეგ ჯერ კიდევ „ნაციონალებისკენ“ იყო. ფაქტობრივად, სამინისტროს თანამშრომლების განწყობაში ეს გარდამტეხი ფაქტორი აღმოჩნდა.

**— არჩევნებზე თუ იყო მითითება, რომ აუცილებლად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ უნდა მიგეცათ ხმა?**

— ასეთი პირდაპირი მითითება არ ყოფილა, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ ყველას „ნაცმოძრაობისთვის“ უნდა მიეცა ხმა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამან ვერ იმუშავა. ახლა მათი მხრიდან მიდის საუბარი, რომ ხელისუფლების ცვლილება დროებითია, რომ ექვსი თვის შემდეგ ხელისუფლებაში ისევ „ნაციონალები“ დაბრუნდებიან და ა.შ. მაგრამ ამან უფრო დაბნეულობა და უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რადგან არავის უნდა კიდევ ერთი დაძაბულობა, არეულობა და ა.შ. მით უმეტეს, ყველამ გაიაზრა (დღესაც გვქონდა სამსახურში ამაზე საუბარი), რომ ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა მართლა ძალიან კარგი პრეცედენტია, რათა მომავალშიც ასე მოხდეს. ალბათ, ამანაც დიდი როლი შეასრულა, რადგან ხალხმა რომ შეხედა ამ ახალაიების თამაშებს, არავის არ მოსწონდა ის სიტუაცია, რადგან მთელი ხელისუფლება მათ ხელში იყო და არავის არანაირი პერსპექტივა აღარ ჰქონდა, ან უნდა ყოფილიყავი მათი ყურმოჭრილი მონა, ან გაგიშვებდნენ.

ვანო მერაბიშვილის დროს სულ სხვანაირი სიტუაცია იყო. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ რიგით პოლიციელთან მისულა და რაღაც უკითხავს, გულდასმით უსმენდა პასუხს და ხშირ შემთხვევაში მხედველობაშიც მიუღია ასეთი რჩევები. ბაჩოს დროს კი ასეთი მიდგომა იყო — ეს ასე უნდა გაკეთდეს, არ გვაინტერესებს სწორია თუ არა. თუ აღმოჩნდებოდა, რომ შეცდომაა დაშვებული, მერე იმის გამოსწორებას გიბრძანებდნენ და საერთოდაც, ტენდენცია ასეთი იყო — გიბრძანე და, შეასრულე. მინდა გითხრათ, რომ ჯარი სხვა არის და პოლიცია კი — სულ სხვა.

**— ყბადაღებულ სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია?**

— ჩვენ ვიცით, რომ პერიოდულად ყველას ტელეფონი ისმინებოდა. საუბარი მაქვს განყოფილების უფროსზე და იერარქიულად მის ზემდგომ თანამდებობის პირებზე. იქ ვინმე კი არ იჯდა და უსმენდა, უბრალოდ პერიოდულად ამ ადამიანების ტელეფონები მოსმენაზე ირთვებოდა, თუკი რაიმე ისეთ სიტყვას ახსენებდნენ, და ეს სატელეფონო ჩანაწერი კომპიუტერულ სისტემაში ინახებოდა. შემდეგ, ადამიანი, რომელიც ამაზე მუშაობდა, მოუსმენდა და თუ რამე საინტერესო იყო ნათქვამი, შეინახავდა, თუ არა და — წაშლიდა. ამისთვის სპეციალური დეპარტამენტი არსებობს და მისი მუშაობა დახურულია. რაც შეეხება პერიოდულად გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებს, ამას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან დღეს ციფრული ტექნოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი ადამიანის ხმას მიამსგავსო ჩანაწერში არსებული ხმა, ნებისმიერი კონფიგურაციით დაალო სიტყვები და ა.შ. თუ ამ აუდიოჩანაწერს თან არ ახლავს ვიზუალიზაცია, ძალიან დიდი შანსია, რომ ეს ფაბრიკაცია იყოს.

# რა ხდება პოლიციაში?




**— ახლა აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ძველი ხელისუფლება სახელმწიფო უწყებების არქივებს ანადგურებს, რათა თავის დანაშაულებთან დაკავშირებით ახალ ხელისუფლებას სამხილები არ დაუტოვოს. ამის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— ასეთი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ, მაგალითად, ცნობილია, რომ, როდესაც ფინანსურ პოლიციას ფინანსურ დანაშაულზე პიროვნების დაჭერა უნდოდა, თვითონვე ავრცელებდნენ გაყალბებულ ანგარიშ-ფაქტურას, ან სხვა რაიმე დოკუმენტს, რათა მის წინააღმდეგ სამხილი შეექმნათ. ხოლო, როდესაც შენ რამეს ყიდულობ, ექსპერტი ხომ არ ხარ, რომ ანგარიშ-ფაქტურა შეამოწმო? ამ დროს კი დაგადგებიან უცებ და აღმოჩნდება, რომ ყალბი დოკუმენტი გაქვს ხელში და ამაზე, რა თქმა უნდა, შენ აგებ პასუხს. ბიზნესმენების უმეტესობა სწორედ ამ გზით არის დაკავებული და გასამართლებული.

**— მინისტრობის ახალი კანდიდატის ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ როგორი განწყობაა სამინისტროში?**

— თავიდან ასეთი განწყობა იყო — აუ ვინ არის ეგ კაცი და რაღაც, მაგრამ მის გამოსვლებს რომ ვუსმენთ, თუ მართლა ისე იქნება, როგორც ის ამბობს, თუკი მართლა პროფესიონალებს დაეყრდნობა, ძალიან კარგი იქნება. მინდა, გითხრათ, რომ „ნაციონალებიც“ ასე ამბობდნენ ხოლმე, მაგრამ შემდეგ მოიყვანეს პატარა ბიჭები, ზოგიერთი სტუდენტიც კი იყო სამმართველოს უფროსი და უფრო მაღალი თანამდებობის პირებიც. არადა, რაც არ უნდა ჭკვიანი იყო, ადამიანმა ყველა საფეხური თუ არ გაიარე რიგითი თანამშრომლიდან დაწყებული, უბრალოდ შეუძლებელია შენი მუშაობა სწორი მიმართულებით წარმართო.

ახალ მინისტრს ხვდება საკმაოდ ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ქვედა რგოლში კარგი პროფესიონალები, ზედა რგოლში კი თვითონ უნდა გაარჩიოს, ვისი დატოვება ღირს თანამდებობაზე და ვისი — არა, რადგან ვიმეორებ: ზოგი მხოლოდ „ნაციონალებისადმი“ ერთგულების ნიშნით იყო დანიშნული, ზოგი დროშას იქნევდა კარგად, ზოგმა სხვების უფრო კარგად „ჩაშვება“ მოახერხა და ა.შ. ისე საერთო ჯამში ღარიბაშვილის მიმართ საკმაოდ ნორმალური განწყობაა.

**— რამდენადაც ცნობილია, ბაჩო ახალაიამ ქვეყანა დატოვა. რას ფიქრობენ ამის შესახებ სამინისტროში?**

— აქ აზრი ორად არის გაყოფილი. ჯერ გეტყვით იმას, რას ფიქრობს უმრავლესობა. ისინი ფიქრობენ, რომ თუკი გარბიხარ, ესე იგი რაღაცის გეშინია, ანუ რაღაც დანაშაული გაქვს ჩადენილი. თუმცა, სამინისტროში არის ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ ახალი ხელისუფლება არ დაიწყებს გარჩევას, ვინ დამნაშავეა და ვინ — არა, დაიწყება პოლიტიკური რეპრესიები და ამიტომ, შესაძლოა ახალაია ამას გაერიდა. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, უმრავლესობა ფიქრობს, რომ ახალაია დამნაშავეა და იმიტომ გაიქცა.

**— ახალაიას გარდა, სამინისტროს კიდევ სხვა მაღალჩინოსნებმაც დატოვეს ქვეყანა?**

— საუბრობენ მიქაძეზეც, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ის შვებულებაშია გასული.

**— ქვეყნიდან ვინც გაიქცა, ყველაზე ამბობენ, რომ შვებულებაშია გასული. ისე, ვინ არის ეს ადამიანი?**

— მიქაძე ადრე პატრულში მუშაობდა, ბოლო პერიოდში კი კადრების სამმართველოს უფროსი იყო. მასზე ამბობდნენ, რომ პატრულის თანამშრომლებს, რომლებსაც ვიღაც შემოაკვდათ, ხელი დააფარა. დაზარალებული კი მიიჩნევდა, რომ პატრულის თანამშრომლებმაც პირდაპირ ესროლეს იმ ადამიანს.

**— ახლა რა ხდება სამინისტროში?**

— ახლა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია გავრცელებულმა ხმამ იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს პოლიციის სამართველოს უფროსებს მანქანები უნდა ჩამოართვან და გამგეობებს გადასცენ. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ალინუსხა ძვირადღირებული მანქანები, განსაკუთრებით ჯიპები, და უნდა გადაეცეს გამგეობებს. ამან სამმართველოს უფროსების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ამბობენ, რომ მათ დაპირდნენ, ექვს თვეში ამაზე უკეთესი მანქანები გეყოლებათ, როდესაც ისევ დავბრუნდებით ხელისუფლებაშიო.

**— მიზეზი ის არის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო „ქართული ოცნების“ კონტროლქვეშ გადადის, ხოლო გამგეობები, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობები „ნაციონალებს“ დარჩებათ და ახლა სურთ, რომ გამგებლები მოთაფლონ?**

— ალბათ. ამას დაზუსტებით ვერ გეტყვით. ამბობენ იმასაც, რომ შსს-ს საკუთრებაში არსებული რაღაც შენობებიც გადაეცა სხვადასხვა უწყებებს, რომლებსაც პირადად პრეზიდენტი აკონტროლებს, თუმცა რამდენად სიმართლეა ეს, ამაზე თავს ვერ დავდებ.

**ნინო ჟღენტი**

ინფორმაცია

## ახალი მთავრობის ბევრი წევრი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდება



ასე მიიჩნევს ექსპერტი დემურ გიორხელიძე.

როგორც გიორხელიძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, კანდიდატებს მაშინ შეაფასებს, როდესაც ისინი სამომავლო გეგმებზე ისაუბრებენ.

— მე ვფიქრობ, ბევრი მათგანი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. შეიძლება, კანდიდატი შესანიშნავი პიროვნება იყოს. მაგალითად, არც მე ვარ ცუდი პიროვნება, მაგრამ ხუთი ტომარა ტვირთი რომ ამკიდონ, ალბათ, ვერ ავწევ და წავიქცევი. ასეთი პრობლემები აქვს მინისტრობის ბევრ კანდიდატს და, ვფიქრობ, რომ ეს პრობლემები სერიოზული იქნება, — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ.

მისი თქმით, დღეს ახალი მთავრობა ფუნდამენტური პრობლემების წინაშეა.

— პრობლემები ობიექტურია და მე არ ვფიქრობ, რომ ერთი მინისტრის წარმატება და მეორე მინისტრის წარუმატებლობა საქმეს არ ავნებს. პირიქით, ეს გუნდური თამაშია. როგორ შეძლებენ მინისტრები ერთმანეთთან როგორც ადამიანურ, ისე საქმიან ურთიერთობას, მომავალში გამოჩნდება და ბევრი რამ პრემიერზე იქნება დამოკიდებული, — მიაჩნია დემურ გიორხელიძეს.

## ხალხი კისრის მოტეხას არც ერთ მინისტრს არ აპატიებს

ექსპერტ დემურ გიორხელიძის განცხადებით, ქართველი ხალხი დღეს უკვე აღარავის არაფერს აღარ აპატიებს.

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გიორხელიძემ განაცხადა, ეკონომიკა ჭაობშია, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია და ხალხი კისრის მოტეხვას არც ერთ მინისტრს არ აპატიებს.

— თქვენ ნახეთ, როგორი ახალგაზრდობა მოდის, საზოგადოებაში უკვე სხვა განწყობებია. ჩვენ მივხვდით, რომ ხელისუფლებების მომავალი მხოლოდ ქართველი ხალხის განწყობაზეა დამოკიდებული, — აღნიშნა მან.

## გია დვალი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიას უხელმძღვანელებს



უცხოეთში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი გია დვალი განათლებისა და მეცნიერების სისტემის სრულყოფასა და განვითარებაში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა მინისტრობის ახალი კანდიდატების დასახელებისას განაცხადა.

მისი თქმით, როდესაც დამტკიცდება ახალი მთავრობა და პრემიერ-მინისტრი, მასთან შეიქმნება განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისია, რომელსაც გია დვალი უხელმძღვანელებს. მისი თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ განათლების და მეცნიერების სფეროში ფასადური რეფორმები განახორციელა, „რითაც დაანგრია მეცნიერება და ცუდ დღეშია განათლებაც“.

— ახლა აღარ უნდა დავუშვათ არანაირი შეცდომა. განათლების დარგი უნდა იყოს შუქურა ჩვენი მომავლის, რადგან სწორედ განათლებულ საზოგადოებას შეუძლია სწორი გზით წაიყვანოს ქვეყანა, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიას, ბიძინა ივანიშვილმა ორი წევრი დაასახელა. ესენი არიან: დავით ზურაბიშვილი და ნინო გოგუაძე. დანარჩენი წევრები კი, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, მოგვიანებით დასახელდებიან.

## მოსამართლეთა უკანონო ქმედებებს სპეციალური ჯგუფი შეისწავლის

მოსამართლეთა მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს სპეციალური საინიციატივო ჯგუფი შეისწავლის. საინიციატივო ჯგუფის შექმნის ინიციატორია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, ჯგუფი ადვოკატებისგან და საზოგადოების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება. ის მოიძიებს მოსამართლეთა უკანონო ქმედებების შესახებ მტკიცებულებებს, რომელსაც რეაგირებისთვის ხელისუფლებას გადასცემს. ამასთან, მისი თქმით, შემდგომი გამოძიების პროცესს საინიციატივო ჯგუფი გაუწევს მონიტორინგს.

საინიციატივო ჯგუფში სხვა ადვოკატებთან ერთად ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილიც ერთიანდება. როგორც გელა ნიკოლაიშვილმა ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, მართლმსაჯულების აღდგენის მიზნით, აუცილებელია მსგავსი მტკიცებულებების მოძიება და შემდგომი რეაგირება.

— მოსამართლეთა მხარდაჭერის გარეშე უსამართლო მართლმსაჯულების ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო. სამართლიანობისთვის აღდგენისთვის ბრძოლაში ჩვენი საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის იმედი გვაქვს, — განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

ამასთან, საინიციატივო ჯგუფის წევრები ზაზა ხატიაშვილი და გელა ნიკოლაიშვილი ადვოკატებს მოუწოდებენ, მოიძიონ მტკიცებულებები მოსამართლეთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

ინტერპრესი



ერთი წელიწადი დიდი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალებიდან

# „მინდა, რომ მაწვიმდეს, მათოვდეს, მზე მაცხუნებდეს“

## 1 აგვისტო, ხუთშაბათი, 2011 წ.

დარეკა თემურ ჭყონიამ:

— ვახტანგ, შენთვის რამაზის ნატაშას საფლავის პროექტი უთხოვია, რამდენჯერმე უკითხავს, შეიძლება რაიმე სურვილები აქვს, მივიდეთ.

— ეს სამი დღის წინათ იყო, პანაშვიდის შემდეგ. სურვილებზე არაფერი უთქვამს. ამის არც დრო იყო და არც ადგილი-მეთქი.

3 საათზე მივედით, ახალი მოყვანილია პროცედურიდან.

— მოხვედით? რა უხერხულად ვწევარ, არც ვწევარ, არც ვზივარ.

თემურიმ მკლავებქვეშ ხელი ამოსდო და საწოლის საზურგესთან წამოაჯინა.

— არ დავისვენე, კაცო! მთელი ზაფხული წევაში იყავით? ალბათ, სულ დაცარიელდა სოფელი.

— თქვენს უბანში თითქმის არავინ დარჩა, ჩვენთან მხოლოდ ორი მოხუცია, კაცი — ნათელას ბიძაშვილი, 77 წლის და ერთიც ხანდაზმული ქალბატონი, ჭაჭიკო ხომ გახსოვს, იმის შვილი, ლიანა, ბავშვობიდან თითქმის ბრმაა. ზამთარში ორივენი ზესტაფონში ჩადიან გამოსაზამთრებლად, ნათესავებთან, ეშინიათ, ამ ბოლო წლებში დიდთოვლობაა, წელს სამ მეტრამდე ყოფილა, ფანჯრები არ ჩანდაო. ზედა უბანში უფრო კარგადაა საქმე.

გადავშალე წიგნი, ვაჩვენე წევის ფოტოები — „პასტორალური მოტივები“. დიდხანს უყურა.

— რა ლამაზი ადგილებია.

— რამდენი გეხვეწე შარშანწინ 1-2 დღით მაინც წამოდი, თვალი მოავლე შენი ბავშვობის ადგილებს-მეთქი, ისიც გითხარი, ნუ გეშინია, ჩეჩმაში არ მოგიწევს სიარული, ყველაფერი სახლშია, ტუალეტი, აბაზანა, ღვინოებიც კარგი მაქვს, ვერ მოგხიბლე. არა უშავს, მომავალ ზაფხულში წავიდეთ-მეთქი.

— მომავალ ზაფხულში! — ჩაიცინა.

— რას ფიქრობ ნატაშას საფლავზე?

— შენ ხომ არა გაქვს რაიმე სურვილი?

— ისეთი არაფერი, ალბათ, ძნელია გააკეთო ცოცხალი ადამიანის საფლავი, ის ჩემი საფლავიც ხომ უნდა იყოს!

— ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. ბოლოს, თენგიზ სუხიშვილის საფლავის პროექტს რომ ვაკეთებდი, ჩართულები იყვნენ ქალბატონი ინგა, ნინო, ილიკო, ნიუანსებში წვდებოდნენ.

— შორიდან ნუ მივლი, ვიცი, ჩემი საფლავიც ეგ იქნება, ასეთია ცხოვრება. თუ რამე იდეა გაქვს, მითხარი. თემური, ახლოს მოიწიე, რას ათვალიერებ ასე უსაშველოს.

— გვირგვინის თემა მინდა გამოვიყენო, გვირგვინი რიჩარდია, მეფე ლირი, თეატრია, გვირგვინი ხან თავზე რომ გქონდა ჩამოფხატული, ხან სად მოისროდი, ხან სად, გარდა ამისა, რამაზ ჩხიკვაძეს ისედაც ეკუთვნის გვირგვინი-მეთქი.

— ნატაშა არ დამეკარგოს. ეს რა დამემართა.

— ყველაფერი კარგად იქნება, ნატაშაც ხომ თეატრის ნაწილი იყო, ნატაშაც ხომ თეატრით ცხოვრობდა. ერთი კვირა უნდა მაცალო, მაკეტებში გიჩვენებ ვარიანტებს.

— შენი თეა ნატაშას გადარჩენილია, გახსოვს, 6 თვის რომ იყო, სიცხისგან რომ იწვოდა, ნატაშა და მე რომ მოვედით საავადმყოფოში, ბაქოს ქუჩაზე, დილით ადრე. რა გვარი იყო ის სიმპატიური ექიმი, პროფესორი... ღმერთო გამახსენე.

— ირაკლი რცხილაძე, გურამ რცხილაძის მამა.

— ხო რცხილაძე, რცხილაძე. გვითხრა, სასწრაფოდ გვჭირდება, რაღაც დეფიციტური წამალი დაასახელა, თორემ ბავშვი დაიღუპებაო. რამაზ, ჩქარა ებრაელებშიო, მითხრა ნატაშამ. ნახევარ საათში წამალი მოვიტანეთ, ბავშვი გადარჩა. მერე მე ნათლია გავხდი.

— ყველაფერი გვახსოვს, ხშირად ვიგონებთ ამ ამბავს, იმ დილით ნატაშა და შენ რომ არ მოსულიყავით, ვიღუპებოდით.

— მაინტერესებს საფლავის ადგილი, საშას ვეუბნები წამიყვანე, მაჩვენე-მეთქი, ალბათ ვნახავ.

— წავალ ახლა მე, დასვენება გჭირდება.

— ისადილეთ შენ და თემურიმ და მერე წადი.

— შენც ისადილებ ჩვენთან ერთად?

— არა, მე სად შემიძლია ჯდომა, მე აქ მომიტანენ.

— წავალ, საქმეს მივხედავ.

— მე ცოტა ხანს დავრჩები, თქვა თემურიმ. ძალიან მაინტერესებს პროექტი, შევეხმიანოთ ერთმანეთს.

## 8 სექტემბერი, ხუთშაბათი, 2011 წ.

რამაზი ეტლში ზის აივანზე, დაჰყურებს „მზიურს“. გრილა.

— ცოტა დამაგვიანდა, მცხეთაში გავიჭედე.

— ნახევარი საათი რა დაგვიანებაა, შე კაცო. აბა რას გვიპირებ ნატაშას და მე?

მაგიდაზე დავდე ორი მაკეტი და ფოტოები. დიდხანს უყურა. „განხილვაში“ მთელი ოჯახი ჩაერთო. განსაკუთრებით აქტიურობენ შვილიშვილები — ნატაშა და რამაზი.

— რომელი მოგწონს ბაბუ? რომელი მოგწონს...

ზოგს ერთი მოსწონს, ზოგს მეორე.

— ეს მარცხენა ტრადიციულისკენაა, თუმცა განსხვავებულია. კარნიზი მომწონს, გვირგვინი კედელზე იქნება თუ ქვემოთ?

— კედელზეც შეიძლება და ქვემოთაც. ამიტომაც არ არის დამაგრებული. როგორც შევთანხმდებით ისე იქნება.

— ბარელიეფზე ხომ არ გიფიქრია? არა, არა, არ ივარგებს, გააუბრალოებს. ეს მეორე, ნამდვილი სცენაა, საფეხურები უხდება, დახრილი ბოძები რას ნიშნავს?

— დახრილი არ არის, თავდახრილია. მათში ყველა მნახველი თავის შინაარსს დებს, ჩემთვის მოწიწების, პატივისცემის ნიშანია.

— კედელზე სურო იქნება? ესკიზში სუროა, მაკეტზე არა.

— კი, კედელი სუროთი დაიფარება, ქვებს შორისაც სურო იქნება, მაკეტზე სუროს ჩვენებას დიდი დრო უნდა. დღეს მცხეთაში ერთი სუროიანი კედელი ვნახე, მომეწონა, გადავიღე, აი ნახე.

— ძალიან ლამაზია. ჯვარი, ჯვარი უნდა იყოს, ნინოს ჯვარი. გვირგვინს რაიმე დეტალი ექნება? ეს ირიბად ჩაჭრილი სამი ქვა გულზე უნდა დაგვაწვეს?

— გვირგვინს დეტალები არ ექნება, გაპრიალებული, ოქროსფერი იქნება, ცერადაა დამაგრებული, თითქოს ვარდნის მომენტშია, ქვები შველერებზე ეწყობა, ქვემოთ მიწაა, ჰაერი მოძრაობს.

— ამ გვირგვინს არ მოიპარავენ?

— ვერ მოიპარავენ, შტირებით იქნება ჩამაგრებული, გარდა ამისა პანთეონს მეთვალყურე ჰყავს.

— პირველ ვარიანტში მომწონს კარნიზი და საფლავის ქვის „საფეხურები“. ამ საფეხურების გადმოტანა ხომ შეიძლება მეორე ვარიანტში?

— უმტკივნეულოდ.

— ეს თავდახრილი ბოძები სხვა ქვისგან, სხვა ფერის რომ იყოს, ვთქვათ, ყაზბეგის ქვისგან. არა, არ ივარგებს, მეოთხე ფერი შემოდის.

— სადაა ოთხი ფერი?

— შავი გაბრო, ოქროსფერი გვირგვინი, წარწერა რომ ამოიჭრება, ისიც ხომ ფერია. ნუ დაიზარებ, იქნებ ამ ვარიანტის რენდერიც გააკეთებინო, საფეხურებიც დაიტანონ, შევხედოთ.

— კიდევ ერთი რამ, ეს „თავდახრილი ბოძები“ გაპრიალებულ გაბროზე მკაფიოდ აირეკლებიან, თანაც მზის მოძრაობასთან ერთად ანარეკლი იცვლება.

— ძალიან მომწონს ეს ვარიანტი, ზუსტია, ორიგინალურია, თეატრალურია. მეორეც კარგია, მაგრამ ვისი გვარიც დაეწერება, იმისი იქნება.

რამაზის არჩევანით მთელი ოჯახი კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით შვილიშვილები.

— ზუსტი ხარ, ჩემო რამაზ, მოუწონა ლევან ჭაჭიაშვილმა, ცნობილმა დასტაქარმა, უახლოესმა მეგობარმა, რომელიც ბოლო დღეებში გვერდიდან არ შორდებოდა.

— თუ მოგწონს, დაამტკიცე პროექტი, — ვიხუმრე მე.

— რატომაც არა, აიღო კალამი, ფოტოზე დააწერა რ. ჩხიკვაძე. 8.IX.2011.

— რას დამიტოვებ? მაკეტს? ფოტოებს?

— რამაზ, თუ არ გეწყინება არაფერს არ დაგიტოვებ. აქ უამრავი ხალხი მოდის, ყველა რჩევებს იძლევა, მე ამის მწარე გამოცდილება მაქვს. ამას წინათ ერთი ჩემი საყვარელი პიროვნების საფლავის პროექტიდან, კეთილმოსურნეებმა, ძალიან მეტყველი დეტალი ამოაგდეს, ყველაფერმა აზრი დაკარგა.

— ერთი-ორი ფოტო დატოვე, არავის არ ვაჩვენებ, პროექტი ხომ დავამტკიცე. ხო, წარწერა როგორ დაჯდება, რა შრიფტი იქნება, როდის მაჩვენებ?

— ორ-სამ დღეში.

— ჩემი წიგნი ხომ გაქვს?

— კი, ნოდარ გურაბანიძემ მაჩუქა, წავიკითხე, მომეწონა. ნოდარი ბრწყინვალედ წერს. ისე შენი ნაჩუქარიც რომ მქონდეს...

— ორი რად გინდა?

— ერთს შენს ნათლულს, თეას, ვაჩუქებ.

— ერთი წიგნი მომიტანე, გასძახა საშას. წააწერა: „ჩემს საყვარელ ჯემალს, ქართული არქიტექტურის სიმდიდრეს, კეთილი სურვილებით“. **(შინაურები ბატონ ვახტანგ დავითაიას ჯემალს ეძახიან. — რედ.)**

## 10 სექტემბერი, შაბათი, 2011 წ.

დამირეკა საშამ, მამას საქმე აქვსო. წარწერაც აინტერესებსო.

რამაზი წევს. ამაყენეთ, ეს პერანგი ჩამაცვით, მიანიშნა შავ პერანგზე მედლას. ბატონი ლევანიც მიეშველა. ეტლით მაგიდასთან დასვეს.

— როგორა გაქვს თვალი, მოგემატა მხედველობა?

— არა, მხედველობა სტაბილურად ცუდია.

— კიდევ კარგად გადარჩი, 14 ლარი ამოგაცალეს არა, გარეწრები. გახსოვს, კინაღამ მუსოლინი რომ გაგხადე? მიუბრუნდა ლევანს, უყვება. — ამ 30 თუ მეტი წლის წინათ, ჩვენთან თეატრში მოვიდა ორსერიანი ფილმის „პობედას“ გადამღები ჯგუფი, რეჟისორი, ასისტენტი 4-5 კაცი, მე მქონდა შეთავაზება სტალინის როლზე, ეძებდნენ მუსოლინს და რუზველტს, გაშალეს ფოტოები, მეკითხებიან, ხომ არ გყავთ შესაფერისი მსახიობებიო, იმ ცნობილმა მუსოლინის როლის შემსრულებელმა იტალიელმა მსახიობმა იმხელა ჰონორარი მოგვთხოვა, მაგ ფულით ორივე სერიის გადაღებას ვაპირებთო. დავხედე ფოტოებს, მუსოლინიც მყავს და რუზველტიც, ოღონდ მსახიობები არ არიან, ორივე არქიტექტორია-მეთქი. კახა ჯავახიშვილი ზედგამოჭრილი რუზველტი იყო, შენც მაგრა გავდი იმ დროს მუსოლინს. შეგვახვედრეო, მთხოვეს. კახამ იუარა, შენ მოხვედი, მოეწონეთ, გადაიღეს „პრობები“, აქედან-იქიდან.

— კარგად მახსოვს, როგორ „მამუშავებდნენ“ — გადაღებები ევროპის ქალაქებში გვექნებაო, მუსოლინის საყვარლებთან ერთადო და ა. შ.

— მერე ის იტალიელი დათანხმდა რუსულ ჰონორარზე. ასე ჩამეშალა შენი გამუსოლინება, მე კი გადამიღეს სტალინის როლშიო. ახლა მთავარზე. ორი დღეა სულ საფლავზე ვფიქრობ, დავიტანჯე კაცი, ბრწყინვალეა, არტისტულია, ნატაშაცაა, მაგრამ ვერაფრით ვერ ვგუობ, რომ ზემოდან ქვები გვაწევს, შენ კი ამბობ შველერებზე იქნებაო, მაგრამ მაინც. იცი რას გეტყვი, მინდა მაწვიმდეს, მათოვდეს და მზე მაცხუნებდეს. ჩაფიქრდა. ორჭოფობს. მთელი თბილისი გაკრეფილია ქალაქიდან, ელდარიც ავად გახდა. თუმცა რა, ისიც ამ თავდახრილი ბოძების ვარიანტს მოიწონებდა, დარწმუნებული ვარ.

გადაწყვეტილების შეცვლა მოულოდნელი იყო, თუმცა მკაფიოდ დასაბუთებული.

— რამაზ, ორ-სამ დღეში გექნება რაც გინდა. დაგაწვიმს, დაგათოვს და მზეც დაგაცხუნებს-მეთქი.

გულიანად გაეცინა. შვებით ამოისუნთქა, იოლად რომ დავთანხმდი.

## 17 სექტემბერი, შაბათი, 2011 წ.

— რამაზ, ამას წინათ რომ ფოტოები გადავიღე, ამოვაბეჭდინე.

ათვალიერებს, არ მოსწონს საკუთარი თავი, უგულოდ უყურებს. ეს ორი ფოტო დახიე, საშინელებაა. მომაწოდა, დავხიე.

ვაჩვენე ახალი ვარიანტის ესკიზი, ფოტოები. დიდხანს უყურა, მომეჩვენა სხვა რამეზე ფიქრობდა, ან სულაც არ ფიქრობდა. დღითი დღე ილევა, თავდება.

— ეს უკანა ქვა რა ზომისაა, იშოვიან ამ ზომის ქვას?

— სისქით 15 სმ-ია, სიგანით 140 სმ, სიმაღლეში 160 სმ, მთლიანი უნდა იყოს, არაფრით არ გავაჭრევინებ.

— გვირგვინი კედელზე მაგრდება? წარწერა რა ზომისაა, ნატაშა არ დააწერო, ნატალია უნდა იყოს. კედელზე სურო იქნება? კარნიზი აქაც მომწონს.

— რამაზ, ამ მაკეტების, რენდერების, წარწერების გაკეთებაში ჩემი სამი კოლეგა მეხმარებოდა.

— გადავუხადოთ მერე.

— ხომ არ გადაირიე, რა უნდა გადავუხადო. ისე, წიგნებს თუ აჩუქებ წარწერით შესანიშნავი საჩუქარი იქნება, ძალიან გაეხარდებათ.

— ნატალია, სამი წიგნი მომიტანე.

ვხედავ მარჯვენა ხელი შესიებული აქვს, კალამს ვერ იჭერს.

— ვახტანგმა წააწეროს, შენ ხელი მოაწერე, ურჩია ლევანმა.

— როგორმე მოვახერხებ, გადამიშალეთ ყდა, სახელები მიკარნახე.

— დიანა, თენგიზი, გელა.

წვალებით წააწერა სამივე წიგნს ერთი და იგივე ტექსტი — „დიდი მადლობა, ჩემო ................. რ. ჩხიკვაძე“.

— სიტყვიერადაც გადაეცი ჩემი მადლობა.

ლევანმა ლიფტამდე გამაცილა, ძალიან არ მომწონს ხელები რომ შეუსივდა, გუშინ დაეწყო, ცუდადაა საქმე, თქვა ლევანმა. მოშხამული წამოვედი.

## 28 სექტემბერი, ოთხშაბათი, 2011 წ.

დარეკა საშამ, რამაზმა გიკითხა, წარწერის შაბლონი აინტერესებსო.

რამაზი ეტლში ზის, დიდ ოთახში, უსმენს თავის სიმღერებს, სევდიანს.

— რა სუფთა ჩანაწერებია, სტუდიაში ჩაწერეს?

— არა, უმეტესობა პირდაპირ სპექტაკლის დროსაა ჩაწერილი, თუ გინდა გადაგიწერთ.

— რამაზ, წავიკითხე შენი ინტერვიუ, მომეწონა, დიდი სიმართლე თქვი ბოლმის გარეშე.

— აბა, როგორ შეიძლება რობიკოსადმი ასე მოპყრობა, ეგრე სადაა, დიდი შეცდომა მოუვიდა ხელისუფლებას. ეს შეცდომა ხვალ, ზეგ თავის ნაყოფს გამოიღებს, რუსთაველის თეატრი ამ დარტყმას ვერ გადაიტანს.

— ახალი სპექტაკლი ნახე?

— კი, ვიყავით პრემიერაზე ნათელა და მე. საოცარი გაცილება მოუწყო მაყურებელმა რობიკოს, ბევრი მაყურებელი ტიროდა, ფაქტობრივად გამოიტირეს, გამოთხოვება იყო, ტაშისგან კინაღამ ჭერი ჩამოიქცა, ია სუხიტაშვილს ხომ დაბალი ხმა აქვს, მეც ცოტა ყურს დამაკლდა, ტექსტი ცუდად მესმოდა, ამიტომ მთელი ყურადღება გადატანილი მქონდა „სპექტაკლზე“, „სანახაობაზე“, მოძრაობაზე, დინამიკაზე, რიტმზე, განათებაზე, კოსტიუმებზე, ბრწყინვალე სანახაობაა.

— აბა, შევხედოთ წარწერას. კარგია. ჯვარს გადიდება ხომ არ უნდა? კარგად კი ზის.



— გოჩა, დამაწვინე.

დავემშვიდობე, მალე შემოგივლი-მეთქი. დავტოვე სევდიანი სიმღერები, გული მიგრძნობს, ეს ბოლო შეხვედრა იყო.

**ვახტანგ დავითაია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ცვლილებები საქართველოში, რუსეთის განახლებული პოლიტიკა და დასავლეთის როლი

**კავკასიასა და საქართველოში მომხდარი ცვლილებების კონტექსტში აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურმა სტრატეგიამ შეიძლება ცვლილებები განიცადოს, წერს ლაშა ზილპიმიანი თავის სტატიაში.**

„პოლიტიკურად განახლებულ საქართველოსთან ერთად სიტუაცია კავკასიის რეგიონში აუცილებლად შეიცვლება პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რომელი სახელმწიფო გამოიყენებს ამ ცვლილებებს“, – წერს ავტორი.

„უკანასკნელ წლებში კავკასია განიცდის ერთგვარ პოლიტიკურ გამყინვარებას. ამ პერიოდში საქართველომ დაკარგა ყოველგვარი რეალური შესაძლებლობა დაიცვას ეროვნული ინტერესები, უბრალოდ, იმიტომ, რომ იყო მიხეილ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის მძევალი, პრეზიდენტისა, რომელიც 2008 წლიდან მთელ ყურადღებას უთმობდა თავისი კონტროლის გაძლიერებას ქვეყანაში და სახელმწიფოს იყენებდა, როგორც კერძო საკუთრებას, – ამტკიცებს ავტორი. – „ელიტის“ კორუფციამ პიკს 2011-2012 წლებში მიაღწია“.

„დღეს, როდესაც მიმდინარეობს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის თანდათანობითი ნგრევა, როდესაც ხელისუფლება ახალი მთავრობის ხელში გადადის, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში, ჩნდება შანსი, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა შეიცვლება სტრუქტურული თვალსაზრისით. იმპერატივად რჩება ის, რომ საქართველომ უნდა გამონახოს ახალი პოლიტიკური მიდგომა, მათ შორის, რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებითაც, რომელიც აგრძელებს პატარა კავკასიური რესპუბლიკის ორი რეგიონის ოკუპირებას“, – ხაზგასმით აღნიშნავს სტატიის ავტორი.

„თავისი გეოგრაფიული, ისტორიული და კულტურული საფუძვლებით თბილისს არ შეუძლია უგულებელყოს კრემლის არსებობა და იმზირებოდეს მხოლოდ დასავლეთისკენ. საქართველოს სჭირდება უფრო დაბალანსებული პოლიტიკა, რომ შეძლოს გადარჩეს ისეთ რთულ რეგიონში, როგორიცაა კავკასია“, – დარწმუნებულია ზილპიმიანი.

„როგორც საქართველოს ახალი მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებებიდან ჩანს, ქართველებისთვის ტერიტორიული მთლიანობა მნიშვნელოვან პუნქტად რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ, დასავლეთის ქვეყნებს, არ შეგვიძლია შევიტანოთ წვლილი ამ პრობლემის გადაწყვეტაში, თბილისს მხოლოდ თავისი ძალების იმედი უნდა ჰქონდეს, – გვირჩევს სტატიის ავტორი. – სუსტ საქართველოს არ შეეძლება აირჩიოს „აგრესორისადმი“ ძალოვანი დაპირისპირების პოლიტიკა. ამას გარდა, მას არ შეუძლია თავი მოგვაჩვენოს, თითქოს უგულებელყოფს მოსკოვს და იმზირება მხოლოდ ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ პოლიტიკური დახმარების ძიებაში. ამგვარი მიდგომა მხოლოდ კიდევ უფრო დააშორებს მას რუსეთს“.

„საქართველოს მომავალი პოლიტიკა რუსეთთან დაკავშირებით მეტად აინტერესებს დასავლეთს. მოსკოვსა და თბილისს შორის მომავალი ურთიერთმოქმედების ალბათობა გვაიძულებს ჩვენ განვახორციელოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა სათანადო სიფრთხილით. კავკასიის რეგიონის სტაბილურობა უპასუხებს ევროკავშირის ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკული პოლიტიკის მიზეზითა და ჩვენი მომავალი პროექტების თვალსაზრისით, რომლებმაც უნდა გვაქციოს ნაკლებად დამოკიდებულებად რუსული რესურსებისგან“, – წერს დასკვნაში სტატიის ავტორი.

l'Occidentale
orientamento quotidiano

# საქართველო დემოკრატიას ითვისებს, მაგრამ საკუთარ წარსულს ანგრევს

**საქართველოს დედაქალაქი ერთ დროს თავს იწონებდა თავისი ნახევრად დანგრეული ძველი შენობებით. მაგრამ ახლა მათ ქვეყნის მოდერნიზატორი პრეზიდენტი ანგრევს.**

თავის შესანიშნავ წიგნში „აბსოლუტური ძალაუფლება“ რიჩარდ კაპუჩინსკი თბილისში ვიზიტს აღწერს. 1990-იანი წლებია და ქართველები, ისევე როგორც დაშლილი საბჭოთა კავშირის სხვა ერები, მგზნებარედ მოითხოვენ თავისუფლებას. რუსთაველის გამზირზე ქალები მჯდომარე აქციებს მართავენ. პოლიტიკური არეულობის აღწერასთან ერთად, ის ეხება ასევე თბილისის მომხიბვლელობას: „ცხაურიანი ბაცი ფერის სახლები, ვერანდები, აივნები და ბაღები... დღესაც კი (ის) მიმზიდველობას ინარჩუნებს“.

როდესაც საქართველოში ორი ათეული წლის შემდეგ ჩავედი, პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ახალი ისტორიული მომენტის წინაშე დგას. ამ თვის არჩევნებში კოალიციამ, რომელსაც ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში, მიხეილ სააკაშვილის, ატლანტიზმის მხარდამჭერი პრეზიდენტის მმართველი პარტია დაამარცხა. ეს უპრეცედენტო შედეგია: პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში ხელისუფლება დემოკრატიის და არა რევოლუციის ან გარე ჩარევების გზით შეიცვალა. მაგრამ ძველ თბილისში ტრაგედია ხდება. ხელისუფლება სწრაფი ტემპით ანგრევს მე-19 საუკუნის შენობებს, რომელიც ასე ხიბლავდა კაპუჩინსკის და ასე ამშვენებდა დედაქალაქს ხის დეტალებით. ძველი ქალაქი სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ნაერთია, აქ გვხვდება: რუსული კლასიციზმი და მოდერნი (არცერთი შენობა 1795 წელზე ადრეული არ არის, ამ წელს სპარსელებმა თბილისი მთლიანად გადაწვეს). მისი ყველაზე გამორჩეული დამახასიათებელი ელემენტები ვიწრო მოკირწყლულ ქუჩებზე გადმოკიდებული ნატიფად გაკეთებული და მორყეული ხის აივნები, ორნამენტირებული შესასვლელები, ბროწეულის და ლეღვის ხეებია.

ბრიტანელი მწერლისა და გამომცემლის პიტერ ნეისმიტის თანახმად, რომელიც წლის დიდ ნაწილს თბილისში ატარებს, ძველი ქალაქის დაახლოებით ნახევარი დაკარგულია. ნგრევის ტემპი 2007 წლიდან გაიზარდა. „ის ნადგურდება და მის ნაცვლად ვიღებთ მისივე დისნეის მსგავს ვერსიას“, წუხილით ამბობს ნეისმიტი ძველ ქალაქში ჩვენი სეირნობისას. ის დასძენს: „ეს თბილისის აზიური ნაწილია. ჩვენ ვკარგავთ ამ დაკიდულ აივნებს. მათ ანგრევენ და სრულიად განსხვავებულ სტილში აშენებენ. ეს შემაშფოთებელია“.

მაისში ხელისუფლებამ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე საკულტო შენობის, გუდიაშვილის მოედანზე მდებარე „ლერმონტოვის სახლის“ აღება დაიწყო. მოედანზე ნგრევის პირას მისული ამპირის სტილის შენობები და ჩრდილიანი აკაციის ხეებია განლაგებული. ხაჭოს ნამცხვარი მივირთვი არჩევნების ღამეს რეტროს სტილის კაფე „პურ პურში“. მიიჩნევენ, რომ 1820-იან წლებში რუსი მწერალი ამ სახლში ცხოვრობდა; და ის ნახსენებია მის შედევრში Герой Нашего Времени. ცოტა მოშორებით თავისუფლების მოედანია. აქ ივანიშვილის მხარდამჭერები თავიანთ გამარჯვებას აღნიშნავენ და იმ ადგილის გარშემო იკრიბებიან, სადაც ერთ დროს ლენინის ძეგლი იდგა.



როდესაც მივედი, გამოცარიელებული სახლი დამხვდა. სამშენებლო კომპანიას შენობის რამდენიმე მხარეს გამავალი აივანი მოეხსნა. სახურავი და კიბის მოაჯირები გამქრალი იყო; არავინ იცის, რა ბედი ეწიათ მათ; ეზოში ახალგაზრდა კაცი ივანიშვილის პარტიის „ქართული ოცნების“ დროშას აფრიალებს. ზაფხულის განმავლობაში კონსერვაციის სპეციალისტები ლერმონტოვის სახლთან იდგნენ. უსტვენდნენ და ეჭირათ პლაკატები წარწერით: „თუ ამ შენობას დაანგრევთ, თქვენ ჩვენ დაგვანგრევთ“. ეს ყველაფერი უშედეგო იყო. იქვე პურის მოედანზე მიწის მუშა შევნიშნე. მოედნის აღმოსავლეთი მხარე მოსწორებულია; ახალი შენობა ორი სართულით მაღალი იქნება. „ეს თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი მოედანი იყო. შესანიშნავი ფასადები ჰქონდა შენობებს. ევროპის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ქალაქს ამახინჯებენ“, ამბობს ნეისმიტი. როგორც წესი, დასძენს ის, დეველოპერები შენობას ბულდოზერით იღებენ და შემდეგ იქ ძველი აგურებით მოპირკეთებულ ბეტონის ყალბ რეპლიკას დგამენ. მფლობელები სახლებს ყიდიან და სხვაგან გადადიან, ამით ძველი თბილისი სულ უფრო უსიცოცხლო ხდება.

სააკაშვილს – საქართველოს მთავარ არქიტექტორს – საკუთარი ხედვა აქვს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს თბილისი. მისი სტილია მინა და ფოლადი. მოდერნისტული შენობები ყველგან შენდება. პრეზიდენტი ცხოვრობს ნეოკლასიკურ სასახლეში, რომელსაც მინის გამჭვირვალე კვერცხის ფორმის გუმბათი ადგას; ცოტა ქვემოთ ახალი საკონცერტო დარბაზია. თბილისს აქვს, ასევე, სოკოს ფორმის იუსტიციის სახლი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოდერნისტული შენობა და „მშვიდობის ხიდი“. კრიტიკოსები ჩივიან, რომ პრეზიდენტმა ისეთივე ცივი ვიზუალური ენა აირჩია, როგორც საქართველოს ყოფილმა საბჭოთა მჩაგვრელებმა.

იმავდროულად, სააკაშვილმა თურქების მიერ აფეთქებული, მე-11 საუკუნის ბაგრატის საკათედრო ტაძრის აღდგენა დაიწყო. „ეს იგივეა, რომ ტინტერნის სააბატოს რეკონსტრუქცია ჩაუტარო და ახალი კედლები ამოიყვანო, ახალი გუმბათი დაადგა და მინის ლიფტი მიუმაგრო გვერდიდან“, მეუბნება ნეისმიტი. სუროგატული, ბავარიის სოფლის მსგავსი უბანი გაშენდა საქართველოს უდიდესი ეკლესიის სვეტიცხოვლის გარშემო, რომელიც ძველ დედაქალაქ მცხეთაში, თბილისთან ახლოს მდებარეობს. იუნესკომ განგაში ატეხა. და ორივე ძეგლი საფრთხის ქვეშ არსებულ ძეგლთა ნუსხაში განათავსა.

ივანიშვილი კი ჯეიმს ბონდის უარყოფითი გმირის სასახლის მსგავს შენობაში ცხოვრობს, რომელიც თბილისის თავზეა წამომართული. თანაშემწეებმა მას „glassle“ შეარქვეს. შენობა იაპონელი ფუტურისტი არქიტექტორის შინ ტაკამაცუს დაპროექტებულია. მილის ფორმის სვეტები და გიგანტური ინტერიერი საჰაერო სივრცის შთაბეჭდილებას ტოვებს. მილიარდერის პირადი რეზიდენცია გვერდითვეა და თავდაყირა დაყენებულ კოსმოსურ ხომალდს ჰგავს, რომელმაც სტარტი უნდა აიღოს. არჩევნებამდე ივანიშვილი იქაურობას მათვალიერებინებს: მისი რეზიდენცია ანრი მურისა და სხვა მოქანდაკეების ნამუშევრებითაა მორთული. აქედან თბილისზე პანორამული ხედია, რომელიც ქვემოთ ხეობაში იშლება. ივანიშვილი მორაკრაკე შადრევანთან დგას და თავის ცხოვრებაზე გატაცებით საუბრობს; მას ზოოპარკი აქვს, რომელშიც არიან პინგვინები, ლემურები და ზებრა. მეკითხება: „ხომ არ გსურს ირემი წაიყვანო სახლში?“. ორი დღის შემდეგ ივანიშვილი, რომელმაც უმრავლესობით გაიმარჯვა, თავს დაესხა სააკაშვილს საქართველოს არქიტექტურის განადგურების გამო. სააკაშვილის თანაშემწეები უკმაყოფილონი არიან. „როდესაც რაიმეს რესტავრაციას ვაკეთებთ, პირველ რიგში არქივებში ვიხედებით“, მეუბნება ბათუ ქუთელია. და დასძენს: „გინახავთ ივანიშვილის სასახლე?“

Guardian

## დედამიწის ზურგზე



**ჰააგის ტრიბუნალში კარაჯიჩმა აღიარა, რომ იგი რბილი და კეთილი კაცია – ის უნდა დააჯილდოვო და არა ციხეში ჩასვა**

„ყველა, ვინც მე მიცნობს, დაადასტურებს, რომ მე არ ვარ ავტოკრატი, რომ მე არ ვარ აგრესორი, არ ვარ მოუთმენელი“, – განაცხადა მუსულმანების გენოციდში ბრალდებულმა ბოსნიელი სერბების ექსლიდერმა რადოვან კარაჯიჩმა. მუსლიმანებისადმი თავისი პატივისცემის დასადასტურებლად მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ მისი პირადი პარიკმახერი ისლამის მოძღვრებას მისდევდა.

* * *

**ბიოლოგებმა ამოიცნეს ფლორიდაში პლაჟზე აღმოჩენილი უზარმაზარი თვალის ამოცანა**



მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ზღვისპირას ცალკე არსებული თვალი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკელებმა იპოვეს, შეიძლება ეკუთვნოდეს ან ხმალთევზას, ან უზარმაზარ კალმარს – ეს უკანასკნელი შესაძლებლობა, სხვათა შორის, ნაკლებად სავარაუდოა. აღმოჩენა, რაც საერთაშორისო სენსაციად იქცა, შეიძლება დაეტოვებინა ზღვის პირას ადგილობრივ მეთევზეს. ახლა ამ ვერსიების დასადასტურებლად უნდა განხორციელდეს გენეტიკური ტესტი ან მონახონ ის მეთევზე.

* * *

**ამერიკელმა მეცნიერებმა რვა დოლარის ფასად გახსნეს ბედნიერების ახალი საიდუმლოება**



216 გამოსაცდელის დახმარებით, რომლებსაც აძლევდნენ ფულს, ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს: ადამიანი ბედნიერია, თუ იგი თვალყურს ადევნებს თავის ინტერესებს და თავისუფალია იმის აუცილებლობისგან, რომ არჩევანი გააკეთოს თავის და სხვების ინტერესებს შორის. ადამიანებს სურთ იყვნენ ეგოისტები, მაგრამ არ უნდათ თავი იგრძნონ ასეთებად, დარწმუნებული არიან მკვლევარები.

* * *

**რატომ არ შეიძლება გამოვყოთ თავი მატარებლის ფანჯრიდან: ერთ ამერიკელ ქალს ლამის თავი არ მოჰკვეთა საპირისპიროდ მომავალმა შემადგენლობამ**

ორი ახალგაზრდა სასწაულებრივ გადარჩა დაღუპვას, როდესაც გადაწყვიტეს გადაეღოთ ექსტრემალური ვიდეო: მათ დროულად ვერ შენიშნეს მომავალი მატარებელი და ძლივს მოასწრეს უკან გადამხტარიყვნენ ფანჯრებიდან. ამგვარი უყურადღებობა ხშირად ტრაგედიით მთავრდება: რუსეთში, მაგალითად, ამ ზაფხულს მსგავს ვითარებაში რამდენიმე კაცი დაზარალდა.



◎ ვინ ვინ არის?

# უსაფრთხოების საქალაქო სამსახური თუ „მხედრიონი“?

**9 ოქტომბერს თბილისის მერის გიგი უგულავას განკარგულებით, თბილისის მერიამ საკუთარი უსაფრთხოების სამსახური შექმნა. ის თბილისის მერიის ობიექტების, დედაქალაქის სკვერების, ბაღების, პარკების, ასევე მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების უსაფრთხოებასა და ამ ობიექტების ქონებას დაიცავს, საჭიროების შემთხვევაში სხვა თანამდებობის პირთა დაცვაც ევალება.**

**უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ნიშნავს უშუალოდ მერი და იგი მხოლოდ ქალაქის პირველ პირთან იქნება ანგარიშვალდებული.**

მერიაში ამ სიახლეს იმით ხსნიან, რომ ახალი სამსახურის ჩამოყალიბებით, უკეთ მოხდება დაცვის უზრუნველყოფა და დედაქალაქის ბიუჯეტიდან სერიოზული თანხები დაიზოგება. ადრე ეს ფუნქციები შედიოდა შსს-ს დაქვემდებარებაში და მერია მომსახურებისათვის თანხებს იხდიდა.

მერიას ამგვარი სამსახურის შექმნის იურდიული უფლება არ ჰქონდა. – აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი სულხან სალაძე. მისი განმარტებით, როგორც კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ასევე მერიის უფლებამოსილებების ჩამონათვალში, მსგავსი ტიპის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

იურისტის გადმოცემით, არც ერთი ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც მერიამ ამ ბრძანების გამოცემის დროს გამოიყენა, არ ეხება იმ ტიპის უფლებამოსილებას, რომელიც ამ შემთხვევაში მერიისგან იქნა მიღებული.

მომხდართან დაკავშირებით თბილისელთა მოსაზრებები მრავალფეროვანია.

**ლალი ოქროყანაშვილი:** „მერიის უსაფრთხოების დაცვა ადრე შსს-ს ფუნქციებში შედიოდა. მაგრამ ეს უწყება მალე ახალი ხელისუფლების ხელში გადადის და უგულავას არ უნდა მასზე დამოკიდებული იყოს და თავისი პოლიცია შექმნა“.

**ნიკო კავილაძე:** „უგულავას, როგორც ნაცების ერთ-ერთ ლიდერს და თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, გაუჩნდა სურვილი და ამბიცია, გახდეს დაუმორჩილებლობის სახე“.

ავადსახსენებელი 1990-იან წლების პირველ ნახევარში თავიდან პატრიოტული, შემდეგ „სამშობლოს“ სიყვარულში გაყაჩაღებული ბიჭების „მხედრიონის“ „ვერხუშკამ“ პოლიტიკაში მოსვლა განიზრახა. მათ გასისხლიანებულ ხელებზე (მათი ნარჩენები დღესაც უხვად არიან ნაცმოძმიძ თეთრი ხელთათმანები გადაიცვეს და თავი პოლიტიკურ ორგანიზაციად წარმოგვიჩინეს. ახლადგამომცხვარ პოლიტიკოსებს შეიარაღებული მხარდაჭერა ესაჭიროებოდათ. ამისთვის კი თავისი რიგით წევრების შენარჩუნება იყო საჭირო. მამა მარჩენალ ჯაბა იოსელიანის ძალისხმევით შეიქმნა „მაშველთა კორპუსი“. აქ ისეთი კონტიგენტი იყო გაერთიანებული, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა თვითონ იყო საშველი. ამ ხალხს იარაღი შეუნარჩუნდა.

თუ რა საშინელებების ჩადენა მოასწრეს არსებობის ხანმოკლე მანძილზე „მაშველებმა“, ბევრს ეხსომება. ისევე, როგორც ის, თუ როგორ დაამთავრა მათმა უმეტესობამ თავისი „გმირული“ ეპოპეა.

შსს-ს ყოფილი ოპერატიული თანამშრომლები პარალელებს ავლებენ „მაშველთა კორპუსსა“ და უსაფრთხოების სამსახურს შორის და აცხადებენ, რომ ორივე სპეციალურად გარკვეული პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად შეიქმნა. თავის დროზე ორივე სტრუქტურას იარაღი სწორედ იმ ძალებმა დაურიგეს, რომლებიც მაშინ ან ჩააბარეს ან არა. როგორც მაშველებში, ისე უსაფრთხოების სამსახურში არიან კრიმინალური წარსულის მქონენი.

სპეციალისტების გაოცებას იწვევს მერიის განცხადება, რომ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს მოვალეობის შესრულების დროს თან არ ექნებათ ცეცხლსასროლი იარაღი... მაშინ ღამის საათებში საზოგადოებრივი თავშეყრის, ობიექტების დაცვის დროს როგორ უნდა დაიცვან ისინი? – კითხულობენ პროფესიონალები და ამ კუთხითაც მაშველთა კორპუსთან ავლებენ პარალელს. არავის და არაფრის დაცვას ისინი არ აპირებენ, უბრალოდ დებულებაში ჩაუწერეს – ასკვნიან ექსპერტები.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ უსაფრთხოების სამსახურში მიღება კონსპირაციულად, ყოველგვარი შემოწმებების გარეშე ხდება. გამოდის რომ კონტინგენტი ნაციონალებისათვის ნაცნობი და მისაღები ხალხია. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ უსაფრთხოების სამსახური ყოფილი ზონდერებით კომპლექტდება. ნაციონალურ მოძრაობას სახელმწიფო ბიუჯეტი, ვეღარ გადაუხდიდა ხელფასებს. ეს მისია იკისრა მათი თბილისური ორგანიზაციის თავმჯდომარემ უგულავამ. თანხები თბილისის ბიუჯეტიდან უნდა გაიცეს. არ არის გამორიცხული მსგავსი სტრუქტურები გუბერნიებშიც ჩამოყალიბდეს – ასკვნიან საქმეში ჩახედულნი.

ექსპერტები შიშობენ, რომ უსაფრთხოების სამსახურსა და შსს-ს პოზიციები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით გადაიკვეთება. კანონი დაცვის ფუნქციებს ერთპიროვნულად პოლიციას აკუთვნებს.

უსაფრთხოების სამსახურის შექმნა ნაღმია. თუ უგულავას სურდა ცივილიური მეთოდებით პოლიციისა და პატრულის ქალაქის თვითმმართველობისთვის დაქვემდებარება (როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაშიაძ, მაშინ სხვა გზა უნდა გამოენახა და არა ზონდერებით დაკომპლექტებული საკუთარი პოლიცია შეექმნა – ასკვნიან პროფესიონალები.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ სულიერება



# დედათა მონასტერში ლოცულობენ წიგნები!

ოდითგან იწერებოდა ქართულ ეკლესია-მონასტრებში ისტორიათა ფოლიანტები. იწერებოდა მატიანე უფლისა და ხალხისა. ტაოსა და კლარჯეთში, ათონში და იბერიაში ლოცულობდა წიგნი, ემატებოდა სტროფი სტროფს და ქართველი ღვთისკაცნი ჰქმნიდნენ ჰიმნებს ღვთისადმი! ასე ამზევდა მართლმადიდებლურ ცაზე ასობით სადიდებელი უფლისა, – სახარებანი მესტიისა, იენაშისა, ლაბსყალდისა, ქურაშისა, ლახამულისა, ტვიბერისა; კანონარი ლატალისა; ოთხთავები იელისა და ჰადიშისა! – ქართული ენისა და კულტურის მარად უჭკნობი საუნჯე! ადამიანთა უდიდეს შთაგონებად გამოიძერწა მოჩუქურთმებული კედლები ტაძარ-მონასტერთა. ღვთის სადიდებელს გალობდნენ ხელთუქმნელი ფრესკები და მრავლისმთქმელი წარწერები.

ერთ დიდ წიგნად იკინძებოდა ღვთივ ნაკურთხი ყოველი სიტყვა!

წმინდა სალოცავებში გროვდებოდა საუნჯე ჩვენი და ამ საუნჯითაა თავი რომ მოგვწონს დღევანდელ ქართველობას!

მატიანეს ახსოვს დაცემათა მწარე სინამდვილე, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მეტი წილი იყო აღდგომა მკვდრეთით და მაშინ კვლავ ილვებდა სული ჩვენი! სულიერების გადასარჩენად მხრებში იმარეთბოდა ტაძართა მშენებლობა და მოღვაწეობა!

დღეს კვლავ დაგვდგომია ეს ხანა და უპირველესი ქართველის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით კვლავ დავადექით ღვთიური მადლისკენ მიმავალ გზას! და თუ, ამ გზის ყოველ მტკაველზე გვხვდება ახალნაგები სალოცავები, მადლობა ვუძღვნათ უფალს ამისათვის!

ხალხი აგებს თავის სულიერ სამყაროს!

დიდება შენდა, უფალო! ამინ!

...მოკრძალებითა და რიდით შევაბიჯე ქალაქ ჯვარის ოჭანეს უბნის ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის გალავნის კარიბჭეში და სათნოებით აღსავსე ღიმილი შემომაგება დედა დინარიმ!

მოწიწებით ვემთხვიე და მოვიკითხე!

– უფლის ნებით ვცდილობთ, ვთესოთ სიკეთე! – მიპასუხა და, სწორედ რომ, სიკეთე იფრქვეოდა მისი თვალებიდან.

... ჩვენს წინ აღმართულიყო ოჭანეს ტაძარი, ნაგები ღვთით კურთხეული კაცის რუდუნებით!

– როგორ ბრძანდება პატივდებული ლევანი? – მოვიკითხე ლევან მატუა, რომლის სულიერმა სიმდიდრემ, ოჭანეში, მამა-პაპათა ნაფუძარ მიწაზე, აღმართა ეს ტაძარი.

– ღვთის მადლით შრომობს და ილვწის რწმენის სადიდებლად!

... დედა დინარი წინ მიმიძღვის და სანამ ტაძარში შევიდოდეთ, ვათვალიერებთ მონასტრის ვარდ-ყვავილებით მორთულ ეზო-სასუფეველს. ეზოში შვლის ნუკრი დარბის, დაბაჩუნობენ ბოცვრები.

ჩემს აქ არყოფნაში ბევრი, ძალიან ბევრი რამ შემატებია ამ ეზო-კარს, ნათელი დაჰფენია ღვთიური და მადლით ავსებულა კიდე-განი! წინ მიმიძღვის მხევალი ღვთისა და, იქ სადაც, ამ ათიოდე წლის წინათ პირველი აგური ჩაიდო ბალავარში, ახალნაგებ სენაკში შევდივართ და ვხედავ რასაც არ ველოდი: – გამოღებული კარიდან, შორიდანვე გვეგებებიან წიგნებით სავსე კარადები და წმინდანთა სხივმოსილი სახეები!

– ჯერჯერობით, მამაკაცები იშვიათად დადიან ჩვენს ტაძარში... – მოკრძალებით მეუბნება დედა დინარი, – მეტწილად ქალები და ბავშვები გვიდგანან მხარში, თქვენი აქ ყოფნის შემდეგ ჩვენ ბიბლიოთეკა-სავანე შევქმენით... გვინდა, ქართული ხელრთვით წმინდა წიგნებიც მოვქარგოთ!.. მეუფე გერასიმემ გვიკურთხა იგი და თქვენც დაათვალიერეთ!... მობრძანდით!

...დიდხანს ვუგდებდი ყურს დედა დინარის ოცნებას: – მაგიდებთან, თითქოს, ჩვენს შემდეგ მავალნი სხედან და ეწაფებიან მადლს უფლისა!

ოჭანეში ცოდნის ტაძარს უკვე ჩაეყარა საფუძველი და ის დღეიდან ელოდება ქველმოქმედთ!

...რიდითა და მოწიწებით თაყვანვეცით ტაძრის დიდებულ გუმბათქვეშ დაბრძანებულ წმინდა ხატებს და ჭიშკარიდან რომ გამოვდიოდი, შევსთხოვე უფალს: – შთააგონე ყოველ ჩვენგანს, რომ საკუთარი წვლილი შევიტანოთ ამ დიდებული ჩანაფიქრის განხორციელებაში!... თითო წიგნი მაინც შევწიროთ ამ წმინდა სავანეს!

ღმერთმა ქნას!... მანამდე კი, ოჭანეს დედათა მონასტერში ჩვენთვის ლოცულობენ დედა დინარი და მის მიერ უკვე მოძიებული წიგნები!

**ზაურ ფიფია**

◎ ინფორმაცია

## გიორგი ტუღუშმა ციხეებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა სია დაამტკიცა

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ტუღუშმა დაამტკიცა იმ პირთა სია, რომლებსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ საპატიმრო დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება მიენიჭათ.**

**უფლებამოსილ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა, როგორც სამუშაო ასევე არასამუშაო საათებში შევიდნენ ყველა დაწესებულებაში, გაეცნონ იქ არსებულ მდგომარეობას და შეხვდნენ თავისუფლება, აღკვეთილ პირებს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიორგი ტუღუშმა განაცხადა, ადმინისტრაცია ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში დაუბრკოლებლად შეუშვას პირი დაწესებულებაში.**

**როგორც ტუღუშმა აღნიშნა, ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 31 იანვრამდე. მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული პატიმრობის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება მიენიჭა 51 პირს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. ასეთი უფლება მიენიჭა „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტ ხათუნა გაგნიძესაც.**

## განცხადება

**2012 წლის 24 ოქტომბერს 15 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი გოგოლის ქ. №9.**

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია მშენებლობის II ეტაპის მიმდინარეობის შესახებ (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილიძ.
2. ამხანაგობის დებულების დამტკიცების საკითხი (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილიძ.

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ნიჩბოსნობა

# სეზონის ფინიშზე



**თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ერევნისა და სევანის 80-მდე ნიჩბოსანი მონაწილეობდა მცხეთასთან მტკვარზე ბაიდარებითა და კანოეთი შეჯიბრებაში. ტურნირი, ტრადიციულად, შემოდგომით იმართება და სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს ეძღვნება. ამჯერად სპორტსმენები ორ ასაკში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. 200 მეტრზე დაძაბული პაექრობების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:**

**ბაიდარა. ერთადგილიანი. გოგონები:** 1. თეონა შაბურიშვილი, 2. ნინო ჯიძურაული, 3. მადონა ყარსელაშვილი (სამივე – დუშეთიდან); **ვაჟები.** 1. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 2. ლევან სოსელია (მცხეთა), 3. ანზორ ლელაშვილი (თბილისი). **ორადგილიანი.** 1. ლევან სოსელია (მცხეთა), ნორიკ მარქარიანი (სომხეთი), 2. გელა ფიცხელაური, ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 3. ლაშა და სულიკო ირემაშვილები (მცხეთა).

**კანოე.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი, 3. გიორგი ჭინჭარაული (ორივე – დუშეთი).

**1997 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი. კანოე.** 1. მალხაზ ჭინჭარაული (დუშეთი), 2. ნორიკ მარქარიანი, 3. ვარდან ოჰანესიანი (ორივე – სომხეთი). **ბაიდარა.** 1. ნორიკ ხაჩატრიანი (სომხეთი), 2. გელა ფიცხელაური, 3. დავით მახარაშვილი (ორივე – თბილისი).

მტკვარზე შეჯიბრებით ქართველმა ნიჩბოსნებმა სეზონი დაასრულეს. 18 ოქტომბერს სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაცია ყრილობას ჩაატარებს და ეს ორგანიზაცია ორად გაიყოფა – ამიერიდან აკადემიური ნიჩბოსნობისა და ბაიდარა-კანოეს ფედერაციები ცალ-ცალკე იარსებებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე:** კანოეში გამარჯვებული ზაზა ნადირაძე; ორადგილიანი ბაიდარათი შეჯიბრების მომენტი.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**



იუბილე

# საუკუნეში პირველი



**ეს იყო ზუსტად 50 წლის წინათ – 1962 წლის 17 ოქტომბერს დილით მსოფლიოს ჩემპიონმა ელისაბედ ბიკოვამ მოსკოვის სასტუმროში ნონა გაფრინდაშვილის სამწვრთნელო შტაბს აცნობა, რომ გადადებულ პარტიაში ნებდებოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ 21 წლის ქართველი მოჭადრაკე სადედოფლო ტახტზე ავიდა, საიდანაც ზედიზედ 16 წელიწადი არ ჩამოსულა.**

ამ ხნის განმავლობაში ორი უძლიერესი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – ალა კუშნირი (სამჯერ) და ნანა ალექსანდრია. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა 1978 წელს დედოფლის გვირგვინი ღირსეულ მეტოქეს – მაია ჩიბურდანიძეს გადაულოცა.

გულისხმიერი, მუდამ შემართული, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული პიროვნება ნონა გაფრინდაშვილი, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონობის გარდა, ბევრ რამეშია მისაბაძი და პირველი: მრავალი საერთაშორისო ტურნირის ტრიუმფატორმა ხუთჯერ საკავშირო ჩემპიონატებში აჯობა ყველას, საჭადრაკო ოლიმპიადებზე თერთმეტჯერ დაიმსახურა ოქროს მედალი; მანდილოსანთა შორის პირველად ნონა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა მამაკაცთა საერთაშორისო ტურნირებზე; ვაჟთა საერთაშორისო დიდოსტატობაც მას ხვდა ქალთაგან პირველს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტობა ნონას ერგო. და რაც მთავარია, 1999 წელს ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად ჩვენთან მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარეს. ჭადრაკისა და ოლიმპიზმის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. სოლიდური ასაკის მიუხედავად, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცხადია, არც პროფესიას ივიწყებს – ხშირად ასპარეზობს მნიშვნელოვან საჭადრაკო ტურნირებში: ვეტერანთა შორის მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონია. თანაც დღემდე ფეხბურთის თავგადაკლულ ქომაგად რჩება. არც არის გასაკვირი – ბავშვობისას ძმებთან და მეზობელ ბიჭებთან ერთად ტყავის ბურთს დასდევდა.

– ერთხელ, როცა კარში ვიდექი, თერთმეტმეტრიანი დარტყმისას ბიჭებმა გადაწყვიტეს, შევეცვალეთ, მაგრამ უარი ვთქვი, – იგონებს ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი ნონა. – სწორედ, ვაჟებთან თამაშში, როცა ვცდილობდი, არაფერი დამეთმო მათთვის, განვითარდა და გაძლიერდა ჩემში მძაფრი თავმოყვარეობა, ის ქალური სიამაყე, რომელიც მაიძულებს, მამაკაცთა ტურნირებშიც ვითამაშო და განსაკუთრებული სიამოვნება ვიგრძნო, როცა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ვუგებ.

ამ სიტყვების შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა, მაგრამ, ნონა გაფრინდაშვილის ხასიათი ვერაფერმა შეცვალა – სახელოვანი დიდოსტატი, რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მრავალ თაობას გაუკაფა გზა დიდების მწვერვალებისკენ, ისევ მებრძოლ პიროვნებად რჩება და ერთგულ დარაჯად უდგას სამშობლოს.

**ვაჟა დანელია**

ერიჰა!

# ხილის ლარნაკი აკლია, ვერტმფრენი კი არ უნდა!

**გასული წლების მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო და, რაც არანაკლებ საგულისხმოა, ყველაზე მდიდარმა ფეხბურთელმა, კამერუნელმა სამუელ ეტო' ომ ფრანგული სატელევიზიო არხის M6-ის ჟურნალისტებს მოსკოვში თავისი ბინა დაათვალიერებინა, რომელსაც მისთვის საფეხბურთო კლუბი „ანჟი" ქირაობს, რომლის ღირსებას იგი ამჟამად იცავს.**

ეტო'ოს ბინა მოსკოვში ერთ-ერთ მრავალსართულიან სახლში მდებარეობს და ოთხ სართულს მოიცავს, ხოლო მისი მთლიანი ფართი 1000 კვადრატული მეტრია. პენტჰაუსში კერძო ლიფტი, ხუთი საძინებელი (მათ შორის ერთ-ერთი პირადი მზარეულისთვის), და სხვადასხვა დანიშნულების ათი ოთახი, ღია ტერასა, საიდანაც ქალაქის შესანიშნავი ხედები იშლება, ასევე საუნა და საცურაო აუზია. ამ დიდებული ბინის ქირაობა „ანჟის" თვეში 80 ათასი ევრო უჯდება.



არადა, როგორც ფეხბურთელმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბინაში მას ყველაფერი როდი მოსწონს: მაგალითად, მისი აზრით, ტელევიზორი, ცოტა არ იყოს, პატარაა, საჭიროა მისი სიგანე სამი მეტრი მაინც იყოს, საცურაო აუზის მოსავლელად კი საჭიროა ცალკე პერსონალი, რომელიც აუცილებლად სამ დღეში ერთხელ მაინც უნდა მოდიოდეს. თუმცა, ტელევიზორის ყიდვას თავად აპირებს, მერე კი კლუბი მას დანახარჯს აუნაზღაურებს...

მიუხედავად ამისა, ეტო' ო, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, საათში 2360 ევროს იღებს, მაინც უკმაყოფილოა.

– ეს ის ბინაა, რომელზეც გიოცნებიათ? – ეკითხება მას ჟურნალისტი.

– ჰმ, ვინ ამბობს, რომ ცუდი ბინაა, მაგრამ ამაზე ოცნება, ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია! – პასუხობს კამერუნის ჯუნგლის შვილი და დასძენს: – აი, აქ, მაგალითად, საჭიროა ხილის ლარნაკის დადგმა!

რამდენიმე დღის წინათ კი სამუელ ეტო' ომ უარი თქვა... პერსონალურ ვერტმფრენზე. თუმცა კი, მოსკოვის საავტომობილო საცობებში დგომა მას დიდად არ მოსწონს, მაგრამ საკუთარი საჰაერო ტრანსპორტის ყოლა, მისი აზრით, ცოტა არ იყოს უხერხულია...

**თამარ გოგიაშვილი**

ძიება

# ზინედინ ზიდანი: მთავარია, ახალი თაობის აღზრდა



**ბოლო ათწლეულების ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ზინედინ ზიდანმა ჟურნალისტებთან საუბრისას ახსნა იმის მიზეზი, თუ რატომ დატოვა მადრიდის „რეალის" სპორტული დირექტორის თანამდებობა.**

რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ზინედინ ზიდანი აღარ ეძებს ცნობილი ესპანური კლუბისთვის ახალ მოთამაშეებს, რის შესახებაც საზოგადოებრიობას „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომ აუწყა. ვარშავაში, საბავშვო სპორტული ჩემპიონატის, ერთა ლიგის ფინალურ სტადიაზე ჩასულმა ზიდანმა ჟურნალისტებთან საუბრისას, კერძოდ, განაცხადა:

– ცოტა ხნის წინათ ჩემთვის სრულიად ახალი პროექტის განხორციელება დავიწყე, ჩემს ცხოვრებაში მოულოდნელად დადგა მომენტი, როცა ვიგრძენი, რომ მზად ვარ, ძალები ბავშვთა წვრთნაში მოვსინჯო. ორი წლის წინათ სპეციალური გამოცდა ჩავაბარე და ამჟამად „რეალ მადრიდის" საფეხბურთო კლუბში ბავშვებს ვავარჯიშებ. ამიტომ ამჟამად ჩემთვის ყველაზე მთავარია, ახალგაზრდებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გადავცე.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ პარიზში, ჟორჟ პომპიდუს ხელოვნებათა ეროვნული ცენტრის შესასვლელის წინ ზიდანის ხუთმეტრიანი ქანდაკება დადგეს, რომელიც 2006 წელს მისი იტალიის ნაკრების მცველთან მარკო მატერაცისთან მოედანზე გამართულ შეხლა-შემოხლას ეძღვნება.

**დალი ხუნდაძე**

ნობელიანტები – 2012

# ვინ სასიამოვნოდ აღელვებულია, ვინ – მკაცრად გაკრიტიკებული...



**მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ოსლოში გამოაცხადა ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ჰუმანური მოღვაწეობის სფეროში ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი წლეულს გახდა ევროპის კავშირი (ევკა). საგანცხადო სიაში 231 კანდიდატი, იმათ რიცხვში 43 საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია შედიოდა. ევროკავშირს პრემია მიენიჭა ევროპაში მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.**

ოსლოში გამართულ ცერემონიაზე კომიტეტის თავმჯდომარემ, ნორვეგიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტურბიორნ იაგლანდმა (აქვე სათქმელად, ის ევროპის საბჭოს გენერალური მდივანიც გახლავთ) აღნიშნა, რომ დაჯილდოებული კავშირი ძალიან გაიხარა ევროპის გაერთიანებისა და ომის კონტინენტიდან მშვიდობის კონტინენტად გადაქცევისთვის. „ევროკავშირის დამსახურებაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა გამთლიანდა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში სტაბილურობა დაისადგურა 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ“ – თქვა იაგლანდმა, ამასთან ის ეკონომიკური პრობლემებიც მოიხსენია, რომელთა წინაშეც ამჟამად მწვავედ დგანან ევროკავშირის ქვეყნები. „ევკა სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეებს განიცდის, აქ მნიშვნელოვანი სოციალური მღელვარებებია მოდებული, თუმცა, ნორვეგიის ნობელის კომიტეტი იმაზე ისურვებდა აზრის კოკრებას, რაც ყველაზე საგულისხმო შედეგია ევკასათვის: წარმატებული ბრძოლა შერიგებისა და გაერთიანების ხაზით, აგრეთვე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“.

მშვიდობის ნობელის პრემიის გამორჩეულად მოსალოდნელ კანდიდატებად ასახელებდნენ ავღანელ სამართალდამცველ ქალს სიმა სამარს; ამერიკელ სამხედრო ბრედლი მენინგს, რომელმაც ფარულად გადასცა პორტალ wikileaks-ს აშშ-ის დიპლომატიური სამსახურის ასიათასობით კონფიდენციალური დოკუმენტი და wikileaks-ის დამაარსებელს ჯულიან ასანჟს; უკრაინის ექსპრემიერის იულია ტიმოშენკოს, რომელიც პატიმრობას იხდის რუსეთის მხარესთან გაზის მიწოდების კონტრაქტების დადებისას უფლებამოსილებათა გადაჭარბების ბრალდებით, ექსპერტთა აზრით, პრემიის მიღების გვარიანი შანსები ჰქონდა ევროპელ ქალს მეგი გობრანს, კაიროს ყველაზე ღარიბი გარეუბნის მცხოვრებთათვის გაწეული დახმარებით ცნობილს; კუბელ ექიმს ოსკარ გონზალესს, რომელმაც სამართლიანობისთვის ბრძოლისათვის ცხრაწლიანი სასჯელი მოიხადა...

ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცი „ერთობ აღელვებული და ამაყია“ ევროკავშირისათვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭებით – ამას პარლამენტის პრეს-სამსახური იტყობინება; თვით შულცი კი ამბობს, რომ ბალკანეთიდან კავკასიამდე ევკა დემოკრატიისა და შერიგების შუქურის როლს ასრულებს და რომ ახლა რამდენიმე ქვეყანა ნებაყოფლობით ეძებს ევროპის კავშირში შესვლას, რაც იმის ნიშანია, რომ რთული ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, იგი მაგნიტია სტაბილურობის, აყვავებისა და დემოკრატიისათვის.

წლეულს ევროპის კავშირს 62 წელი შეუსრულდა: 1950-ის 9 მაისს შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შემდეგ ევკა. ორგანიზაციის პირველი მონაწილენი გახდნენ საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. იმისი ჩამოყალიბების მიზნად საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომების თავიდან აცილება გაცხადდა...

მარტინ შულცი კია აღელვებული და ამაყი ნორვეგიის ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებით, მაგრამ აბერ, ვაცლავ კლაუსი, ჩეხეთის პრეზიდენტი მკაცრად აკრიტიკებს ევკასათვის 2012 წლის მშვიდობის პრემიის მიკუთვნებას და ტრაგიკულ შეცდომადაც მიიჩნევს: ეს ჯილდო ოღონდ ინდივიდუმს შეეფერება.

**ნათია თამარაშვილი,**
**თამაზ ებანოიძე.**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სებ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 6 აგვისტოს №49 განკარგულებისა, 2012 წლის 5 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №208ძ ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საერთო ფართით 2625 კვ.მ., მათ შორის: დაახლოებით 1300 კვ.მ. - საოფისე ფართი; 530 კვ.მ. – დამხმარე ფართი (სანკვანძი, აივანი, კიბის უჯრედი, ლიფტის შახტაძ; 795 კვ.მ. – ავტოსადგომი შენობის მინუს ერთ და მინუს ორ სართულებზეძ, მდებარე: ქ. თბილისი, ვ. ბერიძის ქ. №6.

უძრავი ქონების საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 1 700 000 (ერთი მილიონ შვიდასიათასიძ აშშ დოლარის (აუქციონის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაშიძ ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე“-ს მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, ბე-ს შეტანის დღეს არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22ძ. აუქციონის დასრულების შემდეგ მოხდება შეძენილი უძრავი ქონების ღირებულების დაფიქსირება ეროვნულ ვალუტაში, რომლის გადახდაც სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, „ბე“-ს შემოტანის დღეს არსებული კურსით. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებძ, „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 50 000 დოლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია, საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ უძრავი ქონების მყიდველის სახელზე გადაფორმება მოხდება 10 დღის განმავლობაში, ხოლო შენობის დაცლა და გადაცემა სამი თვის ვადაში.

პირს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე. შემოტანილი „ბე“-ს საფასურის უკან დაბრუნდება მოხდება შემოტანილი „ბე“-ს ლარების შესაბამისად.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს, (ტელ: 2 40-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №310ძ ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge უძრავი ქონების სანახავად მიმართეთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34ძ.

საქართველოს ეროვნული ბანკის
სააუქციონო კომისია

---

თამაზ იმედაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბიძაშვილის, შესანიშნავი მამულიშვილის, სახელმწიფო მოღვაწის, დამსახურებული ეკონომისტის, კოლორიტული პიროვნების

**კარლო დომენტის ძე იმედაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

---

მეუღლე ნესტან ჯიბლაძე, შვილები სოფო, ავთანდილი, ძმა გელა ოჯახებით იუწყებიან

**გივი ახვლედიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17 X, 17 სთ. დაკრძალვა 18 X, 14 სთ. მისამართი: ონიაშვილის 71.

---

თემურ ბრელიძე ოჯახით მწუხარებით იუწყება

**გივი ახვლედიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

---

ჟანა, იური სალიები, ნონა ბაქრაძე, რუსუდან, მიშა ხუჭუები, ქეთინო, ნესტორ ჩიხლაძეები, მარინა კანდელაკი თანაუგრძნობენ გელა ახვლედიანს და მის ოჯახს ძმის

**გივი ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ინფორმაცია

## პატარკაციშვილის ოჯახი „იმედთან“ დაკავშირებით განცხადებას უახლოეს მომავალში გააკეთებს

ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი განცხადებას უახლოეს მომავალში გააკეთებს, – ამის შესახებ ბადრი პატარკაციშვილის დამ მზია თორთლაძემ განაცხადა.

თორთლაძე ამბობს, რომ განცხადება უახლოეს მომავალში აუცილებლად გავრცელდება, თუმცა არ აკონკრეტებს თუ, რომელ რიცხვში მოხდება ეს. თორთლაძე ამ ეტაპზე არც განცხადების შინაარსს ამხელს.

## თბილისის განვითარების ფონდი შესაძლოა, გაუქმდეს

თბილისის განვითარების ფონდის თანამშრომლები განცხადებას ავრცელებენ, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერიას დაგეგმილი აქვს ფონდის საქმიანობის შეწყვეტა ფორსირებული რეჟიმით და თანამშრომლების სამუშაოდან გათავისუფლება ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინასწარი შეთანხმების გარეშე.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ორგანიზაციაში ასამდე თანამშრომელია დასაქმებული, რომლებიც წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

– ჩვენ გვევალებოდა კონკრეტულ პროექტებზე სამუშაოების შესრულება: თითოეულ ობიექტზე კვლევითი სამუშაოს წარმოება, მოსახლეობასთან ურთიერთობა, არქიტექტურულ ნაწილზე და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობა, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და შეთანხმების უზრუნველყოფა. გადაწყვეტილებები პროექტების დაფინანსებისა და დაგეგმვის შესახებ უშუალოდ მერიის კომპეტენციას წარმოადგენდა. შესაბამისად, თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ფონდი ასრულებდა უშუალოდ დედაქალაქის ხელმძღვანელობის მითითებებს და ბრძანებებს. ყოველ ჩვენგანს პასუხისმგებლობა აკისრია მიმდინარე პროექტების დასრულებაზე. ყველა თანამშრომლის ინტერესში შედის, რომ დაწყებული საქმიანობა დასრულდეს. დაუსრულებელი სამშენებლო სამუშაოების გამო, ოთხასზე მეტი ოჯახი დარჩენილია უსახლკაროდ და გაურკვეველია დაუმთავრებელი ან დანგრეული ობიექტების მომავალი. დაფინანსების შეწყვეტის გამო, სამშენებლო კომპანიებმა შეაჩერეს მუშაობა და გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან, – აღნიშნულია განცხადებაში.

თბილისის განვითარების ფონდის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ ფონდის არსებობის საკითხი მისი საქმიანობის არსის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, არ უნდა წყდებოდეს ერთპიროვნულად მერიის ხელმძღვანელობის მიერ, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე.

– ფონდის ლიკვიდაცია დაადასტურებს ფაქტს, რომ თითქოსდა თბილისის განვითარების ფონდი დამოუკიდებლად იღებდა და წყვეტდა ყველა საკითხს და ამ ქმედებით მერია მთლიანად მოიხსნის პასუხისგებლობას ფონდის მიერ გაწეულ საქმიანობაზე. ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ვითხოვთ, ფონდმა სრული შემადგენლობით გააგრძელოს ფუნქციონირება, რათა პირნათლად შევასრულოთ ქ.თბილისის მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულებები, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც 80-ზე მეტი თანამშრომელი აწერს ხელს.

ინტერპრესნიუსი

## განცხადება

ვინაიდან შპს „დიდუბე-გრანდის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ჟუჟუნა დავითაიას, დაბადებული 1952 წლის 07.06, პირადი ნომრით 61002020281, მისამართი, კოორდინატები უცნობია და მასთან დაკავშირება შეუძლებელია, ვაცნობებთ, რომ შპს „დიდუბე-გრანდის“ მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს 13 საათზე დანიშნული აქვს დამფუძნებელთა კრება, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, სტანისლავსკის №12.

დღის წესრიგი:
1. ანრი ბაციკაძის მიერ წილის გასხვისების საკითხი;
2. ინფრასტრუქტურის განვითარება.

შპს „დიდუბე-გრანდის“ დირექცია

## შეუცნობელი

# მუტანტები უფრო დიდხანს ცოცხლობენ

## მეცნიერებმა სუსტ სქესს გენებში დეფექტი აღმოუჩინეს

**მკვლევარები დარწმუნებული არიან, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლეს იმის დადგენა, თუ რატომაა, რომ ქალები მამაკაცებზე დიდხანს ცოცხლობენ.**

აქამდე მიჩნეული იყო, რომ ქალბატონები მამაკაცებზე დიდხანს იმიტომ ცხოვრობენ, რომ უფრო ფრთხილები არიან: ვთქვათ, ჯანმრთელობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, თავს უფრო უვლიან, ნაკლებ თამბაქოს ეწევიან და ალკოჰოლსაც ნაკლებად ეტანებიან. ამასობაში აღმოჩნდა, რომ **ქალების სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო... მათი დნკ-ს მუტაციაში, უფრო სწორად კი მიტროქონდრიებში ყოფილა, რომლებიც უჯრედების ბირთვების ირგვლივ არიან განთავსებული.**

**მიტროქონდრიები — ესაა ერთგვარი ელექტროსადგურები, რომლებიც საკვებს ელექტროენერგიად გარდაქმნიან და უჯრედს კვებავენ.** ჰოდა, რაც უკეთ „გამოკვებილია“ უჯრედი, მით უფრო დიდხანს არ ბერდება იგი და მასთან ერთად ჩვენც არ ვბერდებით.

— მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ უჯრედოვან „ელექტროსადგურებში“ მეტად უჩვეულო მუტაციაა ჩადებული, რომელიც, უკეთესი კვების მიუხედავად, ადრეულ დაბერებას იწვევს, — ამბობს აღმოჩენაზე მსჯელობისას ავსტრალიის მონაშის უნივერსიტეტის დოქტორი დამიან დაულინგი, — **საუკუნეთა მანძილზე მუტაცია თაობიდან თაობაში გროვდება, მაგრამ ქალის ორგანიზმი უჯრედებში ამ სახიფათო ცვლილებებს იშორებს. მამაკაცის კი პირიქით, სახიფათო ცვლილებებს აქტიურად აგროვებს და ამიტომაც მალევე ცვდება.** თანაც ბუნების ეს საჩუქარი — მუტაციების თავიდან მოშორება — შთამომავლობას მხოლოდ დედის მხრიდან გადაეცემა.

ევოლუციურ მექანიზმში ეს უცნაური შეცდომა ბუნებაში სრულიად ალოგიკურად ასიათასობით წლის მანძილზე ნარჩუნდება.

თუმცა კი სატრაბახო მამაკაცებსაც აქვთ, რადგან მადლიანი კალთა მათ ბუნებამაც დააბერტყა. ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ **ქალის თავის ტვინი „წყობიდან“ მამაკაცისაზე უფრო ადრე „გამოდის“.** ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის ამერიკელმა მკვლევარებმა 55 კაცის თავის ტვინიდან აღებული გენების აქტივობა შეისწავლეს, რომელიც სხვადასხვა ასაკში გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ თავის ტვინის სხვადასხვა უბანში განლაგებულ გენთა აქტივობა წლების მანძილზე სხვადასხვანაირად იცვლება. ამასთან, ისიც გაირკვა, რომ ქალის თავის ტვინში ცვლილებები 98 პროცენტ შემთხვევაში უფრო სწრაფად ხდება.

**— ქალები უფრო მალე კარგავენ სივრცეში ორიენტირების უნარს, ერღვევათ მოძრაობის კოორდინაცია, უვითარდებათ გონებასისუსტე და უქვეითდებათ მეხსიერება,** — ასე ბოროტად აღნიშნა ცვლილებები ქალბატონების გონებაში გამოკვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს კრამერმა.

**— იმის მიზეზი, რომ მამაკაცები ქალებზე ნაკლებ ხანს ცოცხლობენ, ისაა, რომ მათი ორგანიზმის ქსოვილები ქალებისაზე 20 პროცენტით მეტ ტენს შეიცავენ, რის ხარჯზე ცილის მოლეკულები გაცილებით ეფექტიანად და აქტიურად მოქმედებენ, შესაბამისად, პროცესებიც უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს,** — ამბობს აკადემიკოსი ვლადიმერ შაბალინი. — ამიტომაცაა, რომ რთულ ვითარებაში მამაკაცები უფრო სწრაფად რეაგირებენ, უფრო უკეთესი რეაქცია აქვთ. მაგრამ **იმის გამო, რომ მამაკაცებში სიცოცხლის პროცესები 20 პროცენტით უფრო სწრაფად მიმდინარეობენ, მათი რესურსებიც ამდენივეთი მალე იწურება.** ქალები საშუალოდ 69 წელს ცხოვრობენ, მამაკაცები — 65 წელს (85 წლის ასაკის ექვს ქალზე მსოფლიოში 4 მამაკაცი მოდის, ხოლო 100 წლის ასაკში ერთ მამაკაცზე ორი ამავე ასაკის ქალბატონია).

და კიდევ ერთი: ქალი, ასე ვთქვათ, „ბაზას დარაჯობს“, მამაკაცი კი ამ ბაზის განვითარებაზე ზრუნავს: ბუნებისთვის ხომ სიცოცხლის გაგრძელებაა მთავარი.

**თამარ გოგიაშვილი**





საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება“** გულთბილად ულოცავს დაბადების საიუბილეო **60 წელს** კეთილშობილებითა და სათნოებით მოსილ ლამაზ ქალბატონს, სახელმწიფო ანსამბლ **„გორდას“** ყოფილ მოცეკვავეს, ქალბატონ **ეთერ ოდიკაძე-კობაძეს.**

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და ჩვენი ბედკრული სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საუკეთესო სურვილებით

საერთაშორისო ფონდ „მამულიშვილთა გახსენების“ გამგეობა

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ვკითხულობთ გაზეთებიდან



### „...ბიძინა ივანიშვილი მოგვილოცავს ახალ წელს“

— დარწმუნებულია „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე, — დეკემბერში სააკაშვილი გადადგება, ამას უსაფუძვლოდ არ ვაცხადებ, მაქვს სერიოზული ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, რომ მედიაკავშირ „ობიექტივის“ ეთერით გამოვიდა ხელისუფლების ადვოკატი გიგი ყავლაშვილი და პირდაპირ თქვა, სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები ჩართული იყვნენ ნავთობბიზნესში და არა მარტო ამ ბიზნესში. გამოქვეყნდება დამადასტურებელი დოკუმენტები და მასალები. ასე რომ, სააკაშვილს ბევრ დანაშაულზე მოუწევს პასუხისგება.

„ალია“

### მანდატურის ინსტიტუტი, შესაძლოა, გაუქმდეს

„ოცნება“ განათლების სფეროში სერიოზული რეფორმების გატარებას გეგმავს, რომელიც, შესაძლოა, მანდატურის ინსტიტუტსაც შეეხოს. საუბარია ამ ინსტიტუტის საერთოდ გაუქმებაზე — ახალი ხელისუფლება უსაფრთხოების დაცვას სხვა მეთოდებით აპირებს.

ერთი ხელის მოსმით აბსოლუტურად არაფერი არ მოხდება, მათ შორის არც მანდატურების დათხოვნა, ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი ნაკლები დანაკარგებით.

„რეზონანსი“

### „პატიმართა რაოდენობა განახევრდება“

— აცხადებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი , — სასჯელაღსრულების მინისტრზე რაც არის დამოკიდებული, ის გაკეთდება. ავადმყოფი პატიმრები დროზე დატოვებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებას, ან ექნებათ ღირსეული მკურნალობის შესაძლებლობა დაწესებულებაში.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**ექიმი** პაციენტს:
— რაღაც არ მომწონს თქვენი ხველა.
— რა ვქნა, ექიმო, უკეთესად არ შემიძლია.

* * *

— შენ, რა, კლარნეტზე აღარ უკრავ?
— არა, მეზობელს თოფი უყიდია.

* * *

**ბავშვი** ეუბნება მამამისს:
— მამიკო, გორილებს რატომ აქვთ ამხელა ცხვირის ნესტოები?
— იმიტომ, რომ სქელი თითები აქვთ.



* * *

**ლანჩხუთში** გურულ ბაღნებს ასწავლიან მათემატიკაში ათეულებს და ოცეულებს. მასწავლებელი ამბობს:
— ბავშვებო, ათის მერე ოცია, ოცის შემდეგ — 30, 30-ის შემდეგ — 40. ვანიკო, აბა მითხარი 40-ის შემდეგ რაია?
— წლისთავი, მასწ! — სიამაყით წამოიძახა ვანიკომ.

* * *

**ებრაელი** მაგარ ავარიას შეესწრო. ხედავს, დაზარალებული მგზავრები ქვაფენილზე ყრიან და ერთ-ერთ მათგანს ეკითხება:
— დაზღვევის აგენტები ჯერ არ მოსულან?
— არა!
— ძმურად, ჩაიჩოჩე, მეც თქვენ გვერდით წამოვწვები!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24